ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 3 ივნისი, 2019 №129 (8083) ფასი: 60 თეთრი

ჩხოროწყუში ხოხელი ქალი ფეხბურთელებმა ცემეს

გვ.7

31 მაისიდან დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



სანდრო ბრეგაძე: „ისე ვაჭყობ, ლგბტ თემის დაცვა ჩვენ მოგვიწევს“

გახარიას პოლიცია აუბუნტდა?

რატომ თქვა შსს-მ უარი ლგბტ პრაიდის დაცვაზე

გვ.2

მირიან მირიანაშვილი: „ანაკლიის პორტს ეშველება, თუ ის ამერიკელების გამგებლობაში გადავა“

გვ.5

ნინო ბურჯანაძე: „ჩემი ეშინოდა სააკაშვილს და ეშინია ივანიშვილს“

გვ.4

სოსო ცინცაძე: „ზელენსკიმ მთელ „ქართულ ოცნებას“ ერთი სააკაშვილი ამჯობინა“

გვ.3

გვ.3

ანა დოლიძე: „ჩინჩალაძის კლანმა უკან დაიხია, ახალი პროცესი იწყება“

სამართალი

გვ.7

„სირცხვილი თქვენ, სირცხვილი, მაიმუნები ხართ!“

ბათუმში მაღალჩინოსნებისთვის პატიმრობის შეფარდებას ხმაური მოჰყვა

მაშველებმა ყაზბეგში გერმანელი ქალი გადაარჩინეს

გუდაურში ფილიპინელი ტურისტი პარაპლანიდან არაგვში ჩავარდა და დაიღუპა

ეკონომიკა

იტალიის ელჩი: „საქართველოში ბიზნესის დაწყება ადვილია, მისი გაფართოებაა რთული“

ორთაჭალაში, შესაძლოა, მიწისზედა მეტრო გაიყვანონ

7 სიცოცხლე, რომლებიც ექიმების შესაძლო არაკვალიფიციურობას ემსხვერპლა

გვ.6

ISSN 1987-9385

2 ვახტანგ მაისაია: „სერიოზული მოთხოვნა რომ იყოს, სააკაშვილს დააპატიმრებდნენ და საქართველოში ჩამოაბრძანებდნენ“

4 ირმა ინაშვილი: „გარეჯის დაცვას, პირველ რიგში, გამართული ინფრასტრუქტურა სჭირდება“

7 შსს-მ 55 მილიონი ლარის ნარკოტიკები გაანადგურა

8 ლონდონის მერმა ტრამპის განცხადებები ფაშისტების რიტორიკას შეადარა

სანდრო ბრეგაძე: „ისე ვაჭყობ, ლგბტ თემის დაცვა ჩვენ მოგვიწევს“

შორენა მარსაგიშვილი

გახარიას პოლიცია აუბუნტდა?

ივნისის ბოლოსკენ თბილისში შეიძლება დიდი ცემა-ტყეპის მომსწრე გავხდეთ. საზოგადოების ნაწილი აცხადებს, რომ საქართველოში გეიაღლუმის ჩატარებას არ დაუშვებს. მათივე თქმით, ამ აღლუმის ორგანიზატორები ყველაფერს აკეთებენ, რათა ლგბტ თემის წარმომადგენლები დაზარალდნენ და ამით დიდი ფული მიიღონ.

გეიაღლუმის ჩატარების წინააღმდეგ ყველაზე მეტად ქართული მარში აქტიურობს. რატომ თქვა გახარიამ ლგბტ პრაიდის დაცვაზე უარი, რას გეგმავენ სამხედროები და პოლიციელები, რა წერილი მიიღეს ცრვენა ზვეზდას გულშემატკივრებისგან, ვინ არღვევს სინამდვილეში ლგბტ პირების უფლებებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

სანდრო ბრეგაძე:

– საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ მიიღო უპრეცედენტო და ეროვნული გადაწყვეტილება. მან უარი განაცხადა გარყვნილების ფესტივალის დაცვაზე.

ძალიან მიხარია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც პატივს სცემენ ქვეყნის წარსულს, ტრადიციებსა და რელიგიას.

ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი ვარ და არც ის მინდა, რომ ვინმემ ლგბტ თემის წარმომადგენლები გალახოს, მაგრამ პრაიდის ჩატარების უფლებას არავის მივცემთ. ქრისტიანულ სამყაროში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ლიბერასტებმა გარყვნილების ზეიმისა და აღლუმის ჩატარება ვერ შეძლეს.

ამასთან დაკავშირებით მე სერბებისგან, ცრვენა ზვეზდას გულშემატკივრებისგან მივიღე წერილი. ისინი მადლობას გვიხდიან, რომ გარყვნილებს ზეიმი არ ჩავატარებინეთ, ამასთან, გვთხოვენ, რომ არ დავნებდეთ და საქართველოში ასეთი რამე არ დავუშვათ.

– რამდენიმე კვირის წინ თქვენ შს მინისტრის მიმართ სერიოზულ უკმაყოფილებას გამოხატავდით, რადგანაც მისი უწყება არ ამხელდა, თუ სად უნდა ჩატარებულიყო პრაიდი.

– ეს არც ახლა არ არის ცნობილი. ფესტივალის ჩატარების ადგილი, რომელიც ერთ კვირას უნდა გაგრძელდეს, დღემდე გასაიდუმლოებულია. ამის შესახებ იცის მხოლოდ შსს-მ.

– შსს-მ თუ იცის, მათ უსაფრთხოებასაც დაიცავს.

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი თქვა გეიაღლუმის დაცვაზე. ჩვენ აღლუმის ჩატარებას ვეწინააღმდეგებით. თავისთვის, ოთახში ან კლუბში თუ შეიკრიბებიან, ამას ხელს არ

შევუშლით. ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ პროპაგანდის წინააღმდეგი ვართ.

მიხარია, რომ ჩვენს აზრზე დგანან პოლიციელები. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამართალდამცავების დიდმა ნაწილმა ღიად თქვა უარი გეიაღლუმის დაცვაზე. ამის შემდეგ შსს-მ ოფიციალურად განაცხადა უარი გარყვნილების ზეიმის დაცვაზე.

– გინდათ თქვათ, რომ გახარიას პოლიციელები აუბუნტდნენ?

– მთლად ბუნტი არ ყოფილა, მაგრამ ათასობით პოლიციელმა უარი თქვა აღლუმის დაცვაზე. მათთვის ასეთი დავალების მიცემა სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მინისტრი პოლიციის გაღიზიანებას მოერიდა.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, პოლიციელებმა თქვეს, რომ თუ მათ აღლუმის დაცვას დაავალებდნენ, ისინი ფორმას გაიხდიდნენ, სამოქალაქო ტანსაცმელს ჩაიცვამდნენ და ხალხის გვერდით დადგებოდნენ.

– პოლიციას ამის უფლება აქვს?

– პოლიციელიც ადამიანია. პოლიციელსაც აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი. პოლიციელის მოვალეობაა, ებრძოლოს დანაშაულს და დაიცვას წესრიგი.

– უმცირესობების დაცვაც ხომ მათი მოვალეობაა? უმცირესობის უფლებები ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც უმრავლესობის.

– გეთანხმებით, დემოკრატიულ ქვეყანაში თუ ვცხოვრობთ, ყველას უფლება უნდა იქნეს დაცული, ოღონდ ისე არა, რომ ვიღაცებმა თავიანთი აღლუმებითა და ქმედებებით შეურაცხყოფა მიაყენონ ჩვენს ტრადიციებსა და რელიგიას.

პრაიდი ჯერ არ ჩატარებულა და უკვე დაიწყო ქართველებისა და საქართველოს ისტორიის შეურაცხყოფა. გადის კლიპები, სადაც თმაშეღებილ და კოლგოტკიან მამაკაცს ჩოხა აცვია. ჩოხა ქართველებისთვის მარტო სამოსი არ არის. ის არის ვაჟკაცობის სიმბოლო. ჩოხის შეურაცხყოფით ეს ადამიანები ხალხს აღიზიანებენ.

ეს ყველაფერი სპეციალურად კეთდება. ხალხი მაქსიმალურად უნდა გამოიყვანონ წყობილებიდან, რომ მერე, აღლუმის შემთხვევაში, უფრო მძიმე ფორმით მოხდეს მათი დარბევა.

– ხალხის წყობილებიდან გამოყვანა რაში სჭირდებათ?

– თავიანთი მიზნების მისაღწევად. რაც უფრო მწარედ მოხდება მათი დარბევა, მით უფრო მეტ დაფინანსებას მიიღებენ.

იმ ადამიანებს. რომლებიც გეიაღლუმის წინააღმდეგ გამოვდივართ, ჰომოფობებს გვეძახიან და გვაბრალებენ, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლების უფლებებს ვლახავთ. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე უფრო მადარდებს ამ ადამიანების ბედი, ვიდრე ამ პრაიდის ორგანიზატორებს.

– ეგ რანაირად?

– უკვე გითხარით, რომ ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ. საქართველოში მრავლად არიან სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის ადამიანები, რომლებიც თავიანთთვის ცხოვრობენ. მათ არავინ ეხება. ზოგჯერ ხდება მათზე თავდასხმები, მაგრამ ასეთი რამეებისგან არც ჰეტეროსექსუალები ვართ დაცული.

გარყვნილების ზეიმი, რომელიც თბილისში უნდა ჩატარდეს, თითქოს ძალადობის საწინააღმდეგოა. სინამდვილეში ძალადობისკენ უბიძგებს ხალხს. ორგანიზატორებს ყველაზე მეტად უნდათ, რომ აქციის მონაწილეები გალახონ. ამით ისინი სერიოზულ გრანტს მიიღებენ, გეები, ლესბოსელები და ტრანსგენდერები კი დაუცველები დარჩებიან.

გახსოვთ ალბათ ორგანიზაცია „იდენტობა“. მისი ხელმძღვანელი იყო ვაჭარაძე, რომელიც გამუდმებით საქართველოს პატრიარქს ლანძღავდა. ამტკიცებდა, რომ ლგბტ თემის უფლებებს იცავდა. ხმაურიან წერილებს წერდა, რომ საქართველოში სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს ჩაგრავდნენ. მათ დასაცავად უცხოეთიდან არაერთი გრანტი მიიღო. ეს თანხები არც ერთ ლგბტ პირს არ მოხმარებია. ვაჭარაძემ ეს ფული მოტეხა და საზღვარგარეთ გაიქცა.

რატომ თქვა შსს-მ უარი ლგბტ პრაიდის დაცვაზე

ამას გააკეთებენ პრაიდის ორგანიზატორები, ლგბტ თემის წარმომადგენლებს აცემინებენ, ფულს თავად ჩაიდებენ და შეიძლება, ქვეყნიდანაც გაიქცნენ.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ადამიანების დაცვა ჩვენ, ქართული მარშის წევრებს, მოგვიწევს.

– თქვენ რატომ მოგიწევთ, პოლიცია რისთვის არსებობს?

– პოლიციამ უარი თქვა აღლუმის დაცვაზე.

– თუ ადამიანების ცემა-ტყეპა წავიდა, არ ჩაერევა პოლიცია?

– ასეთ შემთხვევაში ჩაერევა, მაგრამ 100.000 კაცს რომელი პოლიცია გააჩერებს. აქ თუ გეიაღლუმის ჩატარება გაბედეს, იცოდეთ, რომ ქუჩაში 100.000-ზე მეტი ადამიანი გამოვა. ამხელა მასის შეკავებას პოლიცია ვერ შეძლებს. ხალხს ვერც მაშინ გააჩერებენ, თუ ჯარსაც დაუმატებენ. მეტსაც გეტყვით, სამხედროები მზად არიან, გაიხადონ ფორმა და ხალხთან ერთად დადგნენ.

ამიტომ გითხარით, რომ ჩვენ მოგვიწევს ლგბტ პირების დაცვა და ხალხის შეჩერება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ამ პრაიდის ორგანიზატორები სადმე იქნებიან მიმალული.

კიდევ ერთხელ ვამბობ, მათ საერთოდ არ აინტერესებთ ამ ადამიანების ბედი, მათთვის მთავარია, ფული მიიღონ.

ვახტანგ მაისაია: „სერიოზული მოთხოვნა რომ იყოს, სააკაშვილს დააპატიმრებდნენ და საქართველოში ჩამოაბრძანებდნენ“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ზელენსკიმ როგორ დაიწყო თავისი საქმიანობა, თუ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნებასაც გავითვალისწინებთ?

– ზელენსკიმ თავისი საქმიანობა უმაღლესი რადის დათხოვნით დაიწყო. ეს ძალიან სერიოზული ნაბიჯი იყო. ზელენსკიმ გაიმეორა ის ნაბიჯები, რაც ფაშინიანმა გააკეთა. ზელენსკის იმედი აქვს, რომ მისი ახალშექმნილი პარტია, „ხალხის მსახური“, საპარლამენტო არჩევნებში ხმების უმეტეს რაოდენობას აიღებს. ზელენსკიმ, ფაქტობრივად, დაითხოვა მთავრობის მთელი შემადგენლობა, გარდა შს მინისტრ ავაკოვისა.

ავაკოვმა თანამდებობა შეინარჩუნა. როგორც ჩანს, თავისი სახალხო ფრონტით, გასამხედროებული, ნაციონალისტური ორგანიზაციით, მოხალისეთა ბრიგადებით „აზოვითა“ და „დონბასით“ ავაკოვი იქნება ზელენსკის მოკავშირე.

– ადრეც განაცხადეთ, რომ ავაკოვი იმ გუნდის წევრი (კოლომოისკისა და სხვების) იყო, რომელმაც ზელენსკი მოიყვანა.

– დიახ. ავაკოვი ხელმძღვანელობს ეროვნულ გვარდიას და ფაქტობრივი მთავარსარდალიც არის. ამდენად, ავაკოვს აქვს სერიოზული ბერკეტები. ავაკოვი რომ არა, შეიძლება, ალბათ, პოროსენკოს შეეძლო, სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა.

– პოროშენკოს უნდოდა, სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა?

– დიახ. ზელენსკიმ ასევე განახორციელა მძლავრი შეტევა პოროშენკოზე. მის მიმართ უკვე აღძრულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე სხვადასხვა საკითხზე, დაწყებული კორუფციული გარიგებებით. სამშობლოს ღალატზეც კი არის საუბარი. მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნება პოროშენკოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია.

– უკრაინა კი ითვლება ჩვენს მოკავშირედ, მაგრამ ამ ქვეყნის მიმართ ინტერესი უფრო მეტად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის იქ პოზიციონერობის გამოა. სააკაშვილი ავაკოვთანაც იყო დაპირისპირებული. მაინც რამ გადაწონა სააკაშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მომენტში?

– სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის დაბრუნება სამმა ფაქტორმა განაპირობა. ფაქტობრივად, მან გადადგა კონსენსუსური ნაბიჯი. იმ ბრძანებით მხოლოდ სააკაშვილისთვის არ დაუბრუნებია მოქალაქეობა, სხვა გვარებიც ეწერა, რომლებიც ნაკლებად შეამჩნიეს, ანუ ეს იყო ჟესტი, რომ ის არის ყველა მოქალაქის პრეზიდენტი. ზელენსკის სურს, ყველაფერი თეთრი ფურცლიდან დაიწყოს.

– ამ გზაზე ზელენსკის მიხეილ სააკაშვილი რაში გამოადგება?

– ზელენსკის უნდა, რომ მიხეილ სააკაშვილი სხვა მოწინააღმდეგეების, პოროშენკოსა და სხვათა წინააღმდეგ გამოიყენოს, როგორც „ავჩარკა“ ძაღლი. ეს მიდგომა უფრო მეტად გამოიკვეთა ზელენსკის უკან მდგარ იგორ კოლომოისკის მიმართ, რომელიც მაშინვე უკრაინაში დაბრუნდა. ის იქნება რუხი კარდინალი ზელენსკის ფონზე. როგორც ჩანს, კოლომოისკის სურს, მიხეილ სააკაშვილი გამოიყენოს პოროშენკოს წინააღმდეგ, როგორც თავის დროზე სააკაშვილი პოროშენკომ გამოიყენა კოლომოისკის საწინააღმდეგოდ.

– ზელენსკის, სურს, თავისი საქმიანობა თეთრი ფურცლიდან დაიწყოსო. ასე პოროშენკოსაც უნდოდა თავიდან და სააკაშვილსაც უნდოდა, თავისი ბიოგრაფია გაესუფთავებინა და გუბერნატორად დაინიშნა, თან სააკაშვილი პოროშენკოს მეგობარი იყო. ამათი მეგობარი ნამდვილად არ არის.

– მეგობარი არ იყო, მაგრამ პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილი გამოიყენა, როგორც დაგეშილი მეგობარი კოლომოისკის წინააღმდეგ. მაშინ ოდესაში კოლომოისკის ინტერესები შეიბღალა კერძო სექტორში. კოლომოისკი იძულებული გახდა, უკრაინა დაეტოვებინა და ე.წ. პოლიტიკურ ემიგრაციაში წასულიყო. ახლა, როგორც ჩანს, ვარიანტი მეორდება და ახლა სააკაშვილი უნდათ, პოროშენკოს წინააღმდეგ გამოიყენონ. სააკაშვილი გახდა სავაჭრო ინსტრუმენტი.

– ზელენსკისა და კოლომოისკის რა გარანტია აქვთ, რომ სააკაშვილი მათაც არ დაუპირისპირდება?

– არაფერი. როგორც კი სააკაშვილი დაიწყებს თავის წარმოჩენასა და სიტუაციების თავისებურად არევას, შეამჩნევენ, რომ თავის ჭკუაზე არ არის, მორჩება, თავში წამოარტყამენ და გამოაპანღურებენ ისეთივე შეურაცხმყოფელი ფორმებით, როგორც ადრე. ის გახდა პოლიტიკური კლოუნი და ინსტრუმენტი ოლიგარქების წინააღმდეგ გამოსაყენებლად, მეტი არაფერი. არც იმას გამოვრიცხავ, ზელენსკიმ სააკაშვი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ზელენსკიმ მთელ „ქართულ ოცნებას“ ერთი სააკაშვილი ამჯობინა“

ნათია ხურცილავა

სოსო ცინცაძე: „ლადო კახაძეს დეპუტატობა რად უნდა, არ მესმის“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, 9 ივნისს მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების მეორე ტურია. ოპოზიციამ შეთანხმება ვერ შეძლო და შალვა შავგულიძე სახელისუფლებო კანდიდატის პირისპირ მარტო დარჩა. რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ შეთანხმება?

– ოპოზიცია იქცევა, როგორც პატარა ბავშვი, რომელიც ვერ აცნობიერებს, რას ჩადის. თან ეს არის ქართული კინკლაობის ამბავიც. ხომ იცით, ყველა პირველია, მხოლოდ ის არის მთავარი. თან არ ვიცით, რა იყო რეალური მიზეზი არშეთანხმების. რატომ იყო ასეთი ერთსულოვანი პროტესტი, რთულად ასახსნელია. რა გამოდის, ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეორე ტურში ოპოზიციის გამარჯვება? სიმართლე გითხრათ, მე ცოტა ეჭვი მეპარება. თუმცა, დღეს ოპოზიციას რა კოზირი აქვს? არც არაფერი. მით უფრო იმ ფონზე, როგორც იქცევა.

საქართველოში ვერც ერთი ხელისუფლების პირობებში ოპოზიცია ვერ იქცა ანგარიშგასაწევ ძალად. ყველა დროში ან ხელისუფლება თავად შობდა თავის ოპოზიციას და ის მოდიოდა ხელისუფლებაში, ან კიდევ ივანიშვილის მსგავსი მესია უნდა მოსულიყო.

ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ოპოზიცია ანგარიშგასაწევი ძალა არ ყოფილა არასდროს, რაც დამღუპველია ქვეყნისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიცია ქვეყნისთვის, ვიდრე ხელისუფლება. ძლიერი ოპოზიცია ხელისუფლებას ამოსუნთქვის შესაძლებლობას არ აძლევს. ჩვენთან კი რა ხდება, არათუ ამოსუნთქვის შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას, არამედ ისეთი პრინციპული მნიშვნელობის მქონე მომენტში ოპოზიცია იქცევა ისე, როგორც არ მოიქცეოდა პატარა ბავშვი.

– თქვენ ამბობთ, რომ ლადო კახაძე გაიმარჯვებს?

– გაამარჯვებინებენ. ლადო კახაძეზე მინდა ვთქვა: ის ნამდვილად არის უმაღლესი დონის პროფესიონალი. ამ თავისი პროფესიონალიზმით ის ხალხის მსახური იყო. თუ ნამდვილად ხალხის მსახურება უნდა ლადო კახაძეს, უკეთესი მდგომარეობა, ვიდრე მისი დღევანდელი პოზიციაა, არ არსებობს. ამიტომ, მე არ მესმის, რატომ ამბობს ის ამაზე უარს?!

ერთხელ დიპლომატიურ აკადემიაში ამერიკის ელჩი გვყავდა მოწვეული. ამერიკის ელჩმა სრულიად არადიპლომატიურად გვითხრა, ძალიან გამკვირვებია თქვენი, როგორ შეიძლება ელგუჯა მეძმარიაშვილის დონის მეცნიერი გყავდეთ და პარლამენტში აცდენდეთო. ჩვენი მეცნიერების მიერ გამოგონილი კოსმოსური ანტენა 4-5 მეტრის რადიუსში იჭერს, მის მიერ გამოგონილი კი 10-12 მეტრის რადიუსშიო.

არასდროს დამავიწყდება ამერიკის ელჩის მიერ მოყვანილი ეს მაგალითი. ამიტომ, ძალიან გამკვირვებია ლადო კახაძის, თუ ხალხის მსახურება უნდა, უკეთესი ასპარეზი, ვიდრე მას დღეს აქვს, არ არსებობს.

– უკრაინაში ჩასული მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა.

– არა, ექსტრადირება არ იქნება.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– იმიტომ, რომ თუ მართლაც იქნებოდა ამის სურვილი, ეს ბევრად ადრე მოხდებოდა. სააკაშვილის ექსტრადირება ნამდვილად არ მოხდება. ახლა მთავარია, რა პოზიციაზე იქნება ის უკრაინაში და რა დოზით ჩაერთვება უკრაინის ახალ პოლიტიკურ პროცესებში.

– ჟურნალისტებს განუცხადა, არც ერთ საჯარო თანამდებობას არ დავიკავებო.

– სააკაშვილს რასაც ვერ წაართმევ, ეს პოლიტიკური ალღოა და პოლიტიკური გამოცდილება. ბოლოს და ბოლოს, 9 წელი პრეზიდენტი იყო. ის პირდაპირ არასდროს უპასუხებდა ჟურნალისტებს, რომ აუცილებლად დაიკავებს ამა თუ იმ პოსტს. თუმცა, მე სულაც არ გამიკვირდება, რომ ერთ თვეში ის ზელენსკის მრჩეველი გახდეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

მოქალაქეობის აღდგენით ზელენსკიმ პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიიღო. კი ამბობენ, მასხარაო, მაგრამ ის უზარმაზარი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. თან ბრწყინვალე მრჩევლების გუნდი შეუდგინეს. რასაკვირველია, ეს გუნდი იქნება პირველ ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღები. ვნახოთ, დაახლოებით ერთ თვეში სააკაშვილის ფუნქციები ახალ უკრაინაში გამოიკვეთება. ნელ-ნელა მის განცხადებებში გამოჩნდება, რეალურად რას აპირებს.

ევროპაში სააკაშვილს რეფორმატორის სახელი აქვს, კორუფციასთან მებრძოლის იმიჯი. განა ევროპელებმა არ იციან სააკაშვილი შეცდომები და დანაშაულები, ჩემზე და თქვენზე ბევრად ზუსტი ინფორმაცია აქვთ ევროპაშიც და ამერიკაშიც, მაგრამ მათთვის სააკაშვილის შეცდომებიც და დანაშაულებიც იმ რეფორმებმა გადაწონა, რომლებსაც ის ატარებდა.

– ხელისუფლების მხრიდან უკვე იყო განცხადებები, რომ ზელენსკის გადაწყვეტილება არ არის სახარბიელო.

– სიმართლე გითხრათ, კარგად მესმის ახლა ჩემი ყოფილი სტუდენტის, გელა დუმბაძის, რომელიც უკრაინაში საქართველოს ელჩია.

ზელენსკიმ ამ ნაბიჯის გადადგმით არჩევანი გააკეთა. დიპლომატიაში ასეთი ნაბიჯები მარტივად არ ფასდება. განა არ იცოდა უკრაინის პრეზიდენტმა, რომ ამით საქართველოს ხელისუფლება აღფრთოვანებული არ დარჩებოდა?! შეიძლება, მან არა, მაგრამ მისმა მრჩევლებმა ხომ მშვენივრად იცოდნენ?!

– რა გამოდის?

– რომ ზელენსკიმ არჩევანი გააკეთა „ქართულ ოცნებას“ და სააკაშვილს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ეს „ქართული ოცნებისთვის“ სერიოზული დარტყმაა იმიჯის თვალსაზრისით.

ზელენსკიმ ქვეყნის მოქმედ ხელისუფლებასთან ურთიერთობას ერთი სააკაშვილი ამჯობინა. ეს არის დიდი იმიჯური დარტყმა. მთელი ხელისუფლება გადაწონა სააკაშვილმა. ვინმეს მოსწონს თუ არ არ მოსწონს, ეს ფაქტია.

ანა დოლიძე: „ჩინჩალაძის კლანმა უკან დაიხია, ახალი პროცესი იწყება“

„იუსტიციის საბჭოში ამ ბრძოლაში გაცილებით საჭირო ვიყავი, ვიდრე ერთ ოლქში მაჟორიტარობისთვის ბრძოლაა“

იავო ნაცვლიშვილი

უზენაეს სასამართლოში მოხვედრის მსურველი მოსამართლეების 144-წევრიან სიაში არ არიან თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე დიმიტრი გვრიტიშვილი. სიაში არიან: მთავარი პროკურორი შალვა თადუმაძე, მისი მოადგილე მამუკა ვასაძე და ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე.

რა პროცესი დაიწყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების თემასთან დაკავშირებით და ელოდებიან თუ არა ახალი ჩინჩალაძე-მურუსიძეების შეპარვას? – ამ თემასთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე საუბრობს.

– გამოქვეყნდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მსურველთა სია. თქვენთვის რას ნიშნავს ეს სია და რა ემოცია დაგეუფლათ, როდესაც მას გაეცანით?

– პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ეს არის ქართველი ხალხის ძალიან დიდი გამარჯვება, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ არ გვყავს მოსამართლეების ათკაციანი სია, ისეთი, როგორიც გასული წლის დეკემბერში იყო წარმოდგენილი, დღეს გვაქვს სერიოზული შეჯიბრებითი პროცესი.

– ანუ შეჯიბრებითი პროცესია, რადგანაც გაფართოებული სიაა?

– რა თქმა უნდა. ეს არის უსერიოზულესი და უდაბურესი კონკურსი, უამრავ ადამიანსა და პროფესიონალს აქვს წარდგენილი და ეს ძალიან განსხვავდება იმ ფორმირებისგან, რისი სურვილიც ჰქონდა ჩინჩალაძე-მურუსიძესა და მის კლანს და რომლის მიხედვითაც, ფაქტობრივად, მათ უნდა წარედგინათ სია და ამით გარანტირებული ჰქონოდათ ათკაციანი სიის გაყვანა დეკემბერში.

დღეს ეს პროცესი რომ გვაქვს სახეზე, ეს, პირველ რიგში, თქვენი – მედიისა და ასევე ჩვენი ხალხის დამსახურებაა, იმიტომ, რომ საზოგადოებისგან იყო დაკვეთა ნამდვილ, რეალურ შეჯიბრებითობის პროცესზე. მე მგონია, რომ ჩვენ ეს მოვახერხეთ.

– სიაში არ არიან მიხეილ ჩინჩალაძე და დიმიტრი გვრიტიშვილი. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?

– ის, რომ ამ სიაში არ არის მიხეილ ჩინჩალაძის სახელი და გვარი, არის ძალიან დიდი გამარჯვება. მან ვერ გაბედა თავისი სახელისა და გვარის ჩაწერა ამ სიაში და ეს არის იმ გაფრთხილების ნიშანი, რომელიც წარუდგინა მას და მის მაგვარ ადამიანებს ქართველმა ხალხმა.

– კლანმა დათმო?

– რა თქმა უნდა. მათ ძალიან სერიოზული საზოგადოებრივი მობილიზების ფონზე დაიხიეს უკან. მათ თავიდან აირიდეს ის უდიდესი ხმაური, რომელიც მოჰყვებოდა მათი კანდიდატურების წარდგენას.

თუმცა, პროცესი დამთავრებული არ არის და ახლა იწყება, ამიტომ ის 100-პროცენტიანი ყურადღება, რომელიც ამ თემას ჰქონდა მანამდე, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. აუცილებელია, იყოს საზოგადოების სრული მობილიზება, იმიტომ, რომ ეს თემა უნდა მივიყვანოთ ბოლომდე.

– ანუ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მთავარი ბრძოლა ახლა იწყება?

– კი, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ აქ არის უამრავი ადამიანი უამრავი პერსპექტივით, მათ შორის ადამიანები, რომლებიც სისტემაში მუშაობდნენ, რომლებიც არ მუშაობენ და ა.შ. ანუ ეს იქნება დაძაბული, შეჯიბრებითი პროცესი და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთი 100-პროცენტიანი ყურადღება იყოს ამის მიმართ, როგორიც მანამდე იყო.

– თუ ელოდებით იმას, რომ ახალი მურუსიძეები და ჩინჩალაძეები შემოგაპარონ? მაგალითად, სიაშია შალვა თადუმაძის გვარი. ამას როგორ ხსნით?

– რა თქმა უნდა, ეს სცენარი მოსალოდნელია, რომ რადგან ვერ გავიდა ჩინჩალაძე, იყოს ახალი ჩინჩალაძე, რომელიც იქნება სხვა გვარის, მაგრამ იქნება კლანის ინტერესების გამტარებელი, იმიტომ რომ, როგორც ერთხელ ვთქვი, კოლექტიური ჩინჩალაძეები ყველა სფეროში არიან. ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ ეგენი ეკონომიკაშიც არიან და ყველგან არიან ვითარების „დამლაგებლები“.

ვინ შეიძლება იყოს ახალი ჩინჩალაძე, ამ ეტაპზე ამაზე არ დავფიქრებულვარ, რადგან ახლა ვნახე სია, მაგრამ ამის საშიშროება არსებობს, ამიტომ, როდესაც შევამოწმებთ ამ ხალხის კეთილსინდისიერებას, მაშინ შემოწმდება ის, რომ ისინი ხომ არ ატარებენ, მაგალითად, რომელიმე ხელისუფლების ინტერესებს.

– ანუ აპირებთ, რომ ყველა კანდიდატი და მათი ბიოგრაფიები დეტალურად შეისწავლოთ?

– რა თქმა უნდა. დეტალურად კი არ შევისწავლით, გავწურავთ. იმისთვის დავრჩი მე ამ საბჭოში, რომ გავწურო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ყველა კანდიდატი. ეს უკვე უპრეცედენტო პროცესია.

– თადუმაძეზე არ გიპასუხიათ და გვითხარით, თქვენთვის მისი გვარის სიაში ყოფნა რას ნიშნავდა და ელოდით თუ არა მას?

– არა, არ მქონდა მოლოდინი. ამ ეტაპზე არ მინახავს მისი დოკუმენტები. ერთი კვირა გვაქვს იმისთვის, რომ გადავხედოთ ყველას მონაცემებს. გადავხედავ და მოგვიანებით მოგახსენებთ, რამდენად მოხვდება თადუმაძე მეორე ეტაპზე.

– მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელი როდესაც არის უზენაესი სასამართლოს სიაში, ამაზე როგორია თქვენი შეფასება?

– გასაგებია თქვენი კითხვის არსი, მაგრამ ამ ეტაპზე არ შევაფასებ, ვინაიდან მე ის უნდა შევაფასო პროცესში, იმიტომ, რომ მე ვარ იუსტიციის საბჭოს წევრი. პროცესის განმავლობაში მე უნდა შევაფასო მისი კომპეტენტურობაც, კვალიფიციურობაც და კეთილსინდისიერებაც, ამიტომ წინასწარ ვერავის შევაფასებ, სანამ არ ვნახავ მათ დოკუმენტებს. ამიტომ ამ ეტაპზე შეფასებისგან თავს შევიკავებ.

ზოგადად იცით, რომ მე მოვუწოდებდი ყველას, რომ განაცხადი შემოეტანათ. მოვუწოდე ყველას – ადვოკატებს, პროკურორებს, საბანკო სექტორის იურისტებსა თუ სხვა. ეს იმიტომ, რომ გვინდა რაც შეიძლება ბევრი აპლიკაცია სხვადასხვა სფეროდან.

ჩვენ გვაქვს დრო, სულ მცირე, ერთი კვირა იმისთვის, რომ განვიხილოთ, თუნდაც შემდეგ ეტაპზე ვინ უნდა გადავიდეს და ვინ არა და ამის შემდეგ გავაკეთებ კომენტარს ამ საკითხზე.

– კლანის წევრებმა თითქოს შეაჩერეს თქვენი კრიტიკა, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ ისეთი აქტიურები აღარ არიან, როგორც ადრე. პაუზა აიღეს თუ ტაქტიკას ცვლიან?

– არა, არ შეუჩერებიათ. გუშინაც საშინელი კამათი გვქონდა. არის ასეთი მოსამართლე, ზონდერ-მოსამართლე სერგო მეთოფიშვილი, რომელიც სასამართლოს ზონდერია და ამიტომ მას ზონდერ-მოსამართლე დავარქვი და მასთან ჩვენ გავაკეთეთ კომენტარი, იმიტომ, რომ სხდომები გადმოვიდა პარასკევს და გავაკრიტიკეთ ამის გამო.

მეთოფიშვილს ნულოვანი ტოლერანტობა აქვს განსხვავებული აზრის მიმართ და ამ თემაზე ჩვენ გუშინაც გვქონდა საშინელი კამათი. ყოველკვირა იუსტიციის საბჭოში ჩვენი მისვლა დაკავშირებულია ამ ბრძოლის გაგრძელებასთან და ეს გასაგებია, რომ ბრძოლაა საჭირო.

– ამბობდნენ, რომ მთაწმინდაზე უნდა გეყარათ კენჭი. ახლა ჩვენთან ინტერვიუში ახსენეთ, იუსტიციის საბჭოში იმიტომ დავრჩი, რომ პროცესი ბოლომდე მივიყვანოთო. ამ პროცესის გამო აღარ იყარეთ კენჭი და ამიტომ მიიღეთ საბჭოში დარჩენის გადაწყვეტილება?

– კი, ძირითადად ამ თემას უკავშირდებოდა. მე წინ მქონდა უდიდესი პასუხისმგებლობის ეტაპი, რომელიც დაწყებული იყო და სამართლიანობის ბრძოლის თვალსაზრისით ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მაჟორიტარულ ოლქში არჩევნებზე კენჭისყრა. თუმცა, საბოლოო გამოსავალი იმისთვის, რომ კლანი დაიშალოს, არის პოლიტიკური.

მისი დაშლის გასაღები პოლიტიკურ პროცესშია, არა მხოლოდ ამ კლანის, არამედ ზოგადად კლანების, მაგრამ ამ ეტაპზე მე ვიყავი ძალიან საჭირო იუსტიციის საბჭოში ამ ბრძოლისთვის და ახლა კიდევ უფრო საჭირო ვიქნები ბრძოლის მეორე ეტაპზე.

ნინო ბურჯანაძე: „ჩემი ეშინოდა სააკაშვილს და ეშინია ივანიშვილს“

შორენა მარსაგიშვილი

„როგორც ნაცმოძრაობა დავასრულეთ 26 მაისით, ასევე დავასრულებთ ამ რეჟიმს“

ქვეყანაში აშკარად წინასაარჩევნო სიტუაციაა. გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა აქვს გადაწყვეტილი.

დაინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები, ამას აგვისტოში შევიტყობთ. ამის მიუხედავად, პარტიები ნელ-ნელა იწყებენ არჩევნებისთვის მზადებას – ამ შემოდგომაზე თუ არა, მომავალ შემოდგომაზე არჩევნები აუცილებლად ჩატარდება.

აქტიურობა დაიწყო პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პარტიამაც. ნინო ბურჯანაძის პარტიამ გუშინ, 2 ივნისს, ყრილობაც გამართა. ამიერიდან ამ პარტიას „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა“ ერქმევა.

პარტიის თავმჯდომარედ კვლავ ნინო ბურჯანაძე აირჩიეს, პარტიის გენერალური მდივანი კი გიგლა ბარამიძე გახდა, რომელიც ამ ყრილობის გამო ვერ დაესწრო ჩემპიონთა ლიგის ფინალს. ლიგის ფინალში მისი საყვარელი გუნდი, ლივერპული თამაშობდა. ფინალი მისიანების გამარჯვებით დასრულდა და ყრილობის გამო საქართველოში დარჩენილი ბარამიძე ძალიან ბედნიერი ჩანდა.

მან ამ ყრილობისთვის იმხელა მსხვერპლი გაიღო, რომ პარტიისთვის „ლივერპული – დემოკრატიული მოძრაობა“ უნდა დაერქმიათ.

ცვლილება შევიდა პარტიის პოლიტსაბჭოს შემადგენლობაშიც. პოლიტსაბჭოს ახალი წევრი ანზორ ბიწაძე გახდა.

ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ დემოკრატიულ მოძრაობას ჰქონდა შანსი, მესამე ძალა გამხდარიყო, მაგრამ ივანიშვილმა ბრძანა, შუა უნდა გაიკრიფოსო და ამ პარტიამაც, სხვა ბევრი ორგანიზაციის მსგავსად, ჩრდილში გადაინაცვლა.

„ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილს მისი ეშინია. ნინო ბურჯანაძე ამაყობს იმით, რომ მისი სააკაშვილსაც ეშინოდა.

– დიახ, ჩემი ეშინოდა სააკაშვილს და ეშინია ივანიშვილს. რატომ? იმიტომ, რომ რაც არ უნდა დაგვბრალონ, თავად ცილისმწამებლებმა ყველაზე კარგად იციან, რომ მე ვარ რეალურად პროევროპული პოლიტიკოსი, პოლიტიკოსი, რომელიც არასოდეს მოემსახურება არც დასავლეთისა და არც ჩრდილოეთის ინტერესებს და ყოველთვის ემსახურება მხოლოდ საქართველოს, – განაცხადა ბურჯანაძემ.

ის ამტკიცებს, რომ ყველაზე სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს, დარწმუნებულია, რომ მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, იმის მიუხედავად, რომ „დემოკრატიულ მოძრაობას“ ათას რამეს აბრალებენ.

– კარგად იციან, რომ ვერ შემაშინებენ და ვერ მიყიდიან! მათ კარგად ესმოდათ და ესმით, რომ მე და ჩემი თანაგუნდელები ვართ ის ადამიანები, რომლებმაც დიახ, 26 მაისს დავამთავრეთ სააკაშვილი და ახლა აუცილებლად დავასრულებთ საქართველოში ერთპიროვნულ ფეოდალურ მმართველობას. ეს იცის იმ უამრავმა ადამიანმა, რომლებიც ყოველთვის მიჭერდნენ მხარს და მომავალში კიდევ მეტი დაგვიდგება მხარში.

ჩვენ გვყავს ყველაზე სტაბილური ამომრჩეველი, რომელიც გონებით აკეთებს არჩევანს. რომელიც ხედავს, ვინ გააკეთებს რეალურად საქმეს და დაიცავს ქვეყნის ინტერესებს, სუვერენიტეტს, საზღვრებს, ერთიანობას და მორალურ, ზნეობრივ ღირებულებებს. დღეს პოლიტიკოსთა უმრავლესობა, სხვა უცხო ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უპირისპირდება მეორე უცხო ქვეყანას. საქართველოს ინტერესები კი უგულებელყოფილია. ჩვენ ამას აღარ დავუშვებთ, – ამბობს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი.

ის აღშფოთებულია იმის გამო, რომ ივანიშვილი უკვე მეშვიდე წელია, ხალხს სააკაშვილის დაბრუნებით აშინებს. მისი თქმით, „ოცნება“ ასე ცდილობს, ხალხს იძულებითი არჩევანი გააკეთებინოს მათ სასარგებლოდ.

ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებამ სწორედ ამიტომ არ დასაჯა ნაციონალური მოძრაობა.

– დიახ, ივანიშვილი გვაშინებს სააკაშვილის დაბრუნებით. მან შეგნებულად არ აღადგინა სამართლიანობა, შეგნებულად არ დასაჯა სააკაშვილი და გადაარჩინა „ნაციონალური მოძრაობა“, რათა ოპოზიციად ჰყოლოდა დისკრედიტებული სააკაშვილი, ბოკერია და არა – ჯანსაღი ოპოზიციური პარტიები, მაგალითად, ჩვენი პარტიის სახით.

მოვუწოდებ ჩვენს მოსახლეობას, აღარ აჰყვნენ ივანიშვილ-სააკაშვილის ამ თამაშს. ისინი ასულდგმულებენ ერთმანეთს. დავამთავროთ ეს თამაში, სააკაშვილი ვეღარასოდეს დაბრუნდება ხელისუფლებაში. მას ამის რესურსი არა აქვს. ჩვენს მას არ მივცემთ ამის საშუალებას.

საპრეზიდენტო და შუალედურმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ხალხს არც ივანიშვილი უნდა და არც სააკაშვილი, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მან ქვეყნის პოლიტიკურ კურსზეც ისაუბრა. ის ამბობს, რომ საქართველო რეალურად დამოუკიდებელი და ევროპული ტიპის ქვეყანა უნდა გახდეს.

– ჩვენ უნდა გავხდეთ რეალურად აქტიური და დამოუკიდებელი სახელმწიფო, გვყავდეს ხელისუფლება, რომელიც მეგობრებისთვის პარტნიორი იქნება და არა თავისტკივილი, ქვეყანა, რომელიც მოგვარების გზებს სახავს და თავის მართლების ნაცვლად თავად დგამს ნაბიჯებს, ქვეყანა, სადაც ხელისუფლება ქვეყნის ევროპულობაზე კი არ ილაპარაკებს, არამედ რეალურად ევროპულ სახელმწიფოს შექმნის. ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო, სადაც ისევე, როგორც ევროპაში, იქნება კანონის უზენაესობა, ყველა თანასწორი იქნება კანონის წინაშე, იზეიმებს სამართლიანობა და ადამიანი არ იქნება დაუცველი ხელისუფლებისა და კორუმპირებული ჩინოვნიკების წინაშე.

ჩვენ გვჭირდება ქვეყანა, სადაც ადამიანს სამართლისა და სიმართლის პოვნის გარანტია ექნება, ქვეყანა, სადაც მოხუცს ღირსეული პენსია ექნება, ქვეყანა, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდა უსწავლელი არ დარჩება, სადაც შრომისუნარიანი ადამიანები სამსახურს იშოვიან და თავიანთ ოჯახებს თავიანთი ხელფასით და არა ხელისუფლებიდან ნამოწყალები გროშებით გამოკვებავენ.

ჩვენ გვჭირდება ქვეყანა, სადაც განსხვავებული აზრი მტრობას არ ნიშნავს, არჩევნები ომი კი არა, რეალური კონკურენცია და შეჯიბრებაა, არჩევნები კი სამართლიანად და გამჭვირვალედ ტარდება, – ამბობს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი.

მან მოსახლეობას მოუწოდა გაერთიანებისკენ, რომ ერთად, ეროვნული, გაერთიანებული ძალისხმევით შეჩერდეს ქვეყნის ნგრევა.

ბურჯანაძის თქმით, ერის ხსნისა და წარმატების ერთადერთი წინაპირობა სახელმწიფოებრიობისა და ზნეობრიობის აღდგენაა.

„სახელმწიფოს 20%-იანი საშემოსავლო გადასახადიდან 15% – ბიუჯეტში, ხოლო 5% საპენსიო ფონდში უნდა მიემართა“

საპენსიო რეფორმას ამოქმედებიდან 5 თვის შემდეგ ბიზნესმენი, კომპანია „დიოს“ მმართველი პარტნიორი თამაზ დაუშვილი აფასებს. მისი განცხადებით, ბიზნესი რეფორმას სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა. როდესაც საკანონმდებლო ცვლილება გარკვეულ ხარჯებთანა დაკავშირებული, ბიზნესთან მეტი კომუნიკაციაა საჭირო.

მისი განმარტებით, საპენსიო სისტემაში ჩართვა ნებაყოფლობით უნდა ყოფილიყო, მანამდე კი ბიზნესისთვის გადასაწყობად გარკვეული დრო უნდა მიეცათ. დაუშვილის განმარტებით, ბიზნესის ამოსავალი წერტილი მოგებაა. როდესაც ის მცირდება, კარგი არ არის და ეს არავის არ უნდა უხაროდეს.

როგორც დაუშვილი განმარტავს, როდესაც ქვეყანა ვითარდება, მოსახლეობის ცხოვრების დონე იმატებს და იზრდება სახელფასო ფონდი. შესაბამისად, ნებისმიერი ბიზნესისთვის სახელფასო ფონდი ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯია.

– თუ კომპანიას პირობითად აქვს 2 მილიონი ლარის სახელფასო ფონდი, აქედან დამსაქმებლის გადასახდელია 2%, ანუ 40.000 ლარი, რაც ხარჯია და არცთუ ისეთი ცოტა, მით უმეტეს, როცა ამას სავალდებულო ხასიათი აქვს. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ეს 2%-ი კომპანიისთვის ტვირთია. მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში გართულებული ეკონომიკური სიტუაციაა, როდესაც არ არის ხელშესახები ეკონომიკური ზრდა, არის ლარის დევალვაცია. ნებისმიერი ტვირთი, რომელიც ბიზნეს აწვება, კარგი არ არის, – აცხადებს დაუშვილი.

„დიოს“ აღმასრულებელი დირექტორი იმაზეც საუბრობს, თუ საპენსიო რეფორმა უკეთესად როგორ შეიძლებოდა განხორციელებულიყო. მისი შეფასებით, სახელმწიფოს ცალმხრივად უნდა მიეღო გადაწყვეტილება და 20%-იანი საშემოსავლო გადასახადიდან 15 %-ი ბიუჯეტში, ხოლო 5%-ი საპენსიო ფონდში მიემართა.

– ასეთ სიტუაციაში ბიზნესთან არანაირი ინტერესთა კონფლიქტი არ იქნებოდა, არავის არ შეეხებოდა. თუ ბიუჯეტს ამის საშუალება ექნებოდა,

ამ სქემით უნდა ემუშავათ. თუ მთავრობას უნდა, რომ სოციალურად ორიენტირებული გადაწყვეტილება მიიღოს, ბიზნესს ეს ნაკლებად უნდა დააწვეს. რაღაც სხვა ფორმა უნდა მოიფიქროს, – აცხადებს დაუშვილი.

მისივე განმარტებით, ზოგადად, სხვისი ფულის ინვესტირება ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ეს არ არის ადვილი საქმე. ამას კი დიდი კომპეტენცია და დრო სჭირდება. როგორც დაუშვილი აცხადებს, ეს ყველაფერი რეფორმის ამოქმედებამდე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი.

– ჩემი აზრით, ეს არის ნაჩქარევი გადაწყვეტილება, იმიტომ რომ, მოხდეს დამატებითი რესურსების მობილიზება. ყველაზე უფრო საიმედო მსესხებელი სახელმწიფო ბიუჯეტია, სავარაუდოდ, მობილიზებული თანხა რაღაც დონეს რომ მიაღწევს, ის სესხის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება, – აცხადებს დაუშვილი.

კომერსანტი

ირმა ინაშვილი: „გარეჯის დაცვას, პირველ რიგში, გამართული ინფრასტრუქტურა სჭირდება“

1 ივნისს პატრიოტთა ალიანსმა დავითგარეჯში დიდი შეკრება გამართა. ალიანსის ლიდერებმა საგანგებო განცხადებებიც გააკეთეს.

– ჩვენ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებმა გაითვალისწინონ: ქართველი ხალხი არ დათმობს დავითგარეჯს. ჩვენ პატივს ვცემთ აზერბაიჯანელებს და მათგანაც ველით საპასუხო პატივისცემას. სასიხარულოა, რომ ათასობით ადამიანი ჩამოვიდა გარეჯში. ტრანსპორტი ჩვენ მიერ მობილიზებული იყო 8.500 კაცზე, მაგრამ მანქანებითაც იყო ხალხი ჩამოსული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ 8.000-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა აქციაში.

მიტინგის დასრულების შემდეგ ხალხი ისევ აგრძელებდა მოსვლას. ჩვენ გავაგრძელებთ მოქმედებებს დავითგარეჯის დასაცავად როგორ პარლამენტში, ისე მშვიდობიანი აქციების ფორმატში, – აცხადებს ფრაქცია პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირმა ინაშვილი.

აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრამდე მისასვლელი გზა 21 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სამონასტრო კომპლექსში სტუმრობის მეორე დღეს ჩაკეტეს.

მონასტრის არქიმანდრიტი კირიონ ონიანი ამბობდა, რომ მესაზღვრეებმა გზის დაკეტვა იმით ახსნეს, რომ მათ საქართველოს პრეზიდენტის მონასტერში ასვლის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ და მათი გაღიზიანებაც სწორედ ამან განაპირობა. 5-დღიანი შეზღუდვის შემდეგ მონასტრამდე მისასვლელი გზა 26 აპრილს გაიხსნა.

გარეჯიდან დაბრუნებულმა ინაშვილმა სოციალურ ქსელში სტატუსი დაწერა, სადაც აღნიშნავს რომ გარეჯს გამართული ინფრასტრუქტურა სჭირდება.

– დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსამდე მისასვლელი გზა უკიდურესად სავალალო მდგომარეობაშია. გარეჯის დაცვას, პირველ რიგში, სჭირდება გამართული ინფრასტრუქტურა. ამ შემთხვევაში გზას ვგულისხმობ. ნუთუ რთული ასახსნელია, რომ ეს პოლიტიკის ნაწილია და არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის?!

მადლობას ვუხდი ჩვენს მესაზღვრეებს, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ დღევანდელი აქციის ორგანიზებაში. როცა მრავალათასიანი აქცია იმართება (დაახლოებით 10.000 კაცი) ყველაზე მთავარი ადამიანების უსაფრთხოებაა და მეც, მესაზღვრეებთან ერთად, ვცდილობდი, დამეცვა აქციის ყველა მონაწილის ჯანმრთელობა, – წერს ირმა ინაშვილი.

თაიმერი

ირინა მილორავა პარლამენტში სემეკის საქმიანობის წლიურ ანგარიშს წარადგენს

დღეს, 3 ივნისს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავა ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენს.

სემეკის ცნობით, ირინა მილორავა დეტალურად ისაუბრებს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში 2018 წელს არსებულ ძირითად ტენდენციებზე, სემეკის მიერ განხორციელებულ პროექტებზე, სატარიფო პოლიტიკაზე, მომსახურების ხარისხსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით შემუშავებულ რეგულაციებზე.

ინტერპრესნიუსი

მირიან მირიანაშვილი: „ანაკლიის პორტს ეშველება, თუ ის ამერიკელების გამგებლობაში გადავა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ჭიათურის გაფიცვა რუსეთიდან იყო მართული“

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა კვლავინდებურად იმეორებს, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და ამოქმედება ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტია, საზოგადოება კი ისევ საგონებელშია ჩავარდნილი ანაკლიისა და ფოთის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო. რა ხდება ანაკლიის გარშემო? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– ანაკლიის პორტის გარშემო მიმდინარე პროცესებზე სხვებზე მეტი ინფორმაცია მაქვს. გარდა მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის ქონისა, პორტების სპეციალისტი ვარ.

სააკაშვილის მმართველობის დროს სპარსეთის ყურეში, ბენდერ-აბასში ვსაქმიანობდი. აქტიურად ვიყავი დაკავებული პორტის შერჩევითა და მშენებლობით, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის ოპერირებით. სპარსეთის ყურე გაცილებით მნიშვნელოვანი სატრანსპორტო-პოლიტიკური კვანძია, ვიდრე შავი ზღვა.

ჩვენთვის შავ ზღვაზე ღრმაწყლოვანი პორტის არსებობა სასიცოცხლოა. ანაკლიაზე 30 წელიწადია, საუბრობენ. 2006 წლის შემოდგომაზე სპარსეთის ყურედან ჩამოვიყვანე დელეგაცია ანაკლიის პროექტის მოსასინჯად. მაშინ სააკაშვილმა შემომითვალა, რუსეთთან მოაგვარე ურთიერთობა და ანაკლიაც დაიძვრებაო.

– გამოდის, რომ სააკაშვილი ანაკლიის პროექტს რუსებს უთანხმებდა?

– ცხადია. საერთოდ, ამ პროცესებს თავიდან ბოლომდე მოსკოვი აკონტროლებდა და ჯერ კიდევ აკონტროლებს. რუსეთიდან მართული საქართველოს ესა თუ ის ხელისუფლება ღიად ვერ იტყოდა, რომ პორტები არ უნდა. ამას ვერავინ ამბობს. სამაგიეროდ, ყალბი ფუსფუსი გრძელდება.

– ყალბი ფუსფუსი რას ნიშნავს? პორტის მშენებლობის იმიტაციას?

– რასაკვირველია. დასავლური, პირველ რიგში, ამერიკული ელიტების დასანახად მიდის სიაფანდი ხმაური ანაკლიის გარშემო. სინამდვილეში, საქმე არ კეთდება. ვინც ჩახედულია ნავსადგურების საქმიანობაში, ნავიგაციასა და ამ სფეროს მმართველობაში, იცის, რომ პორტი თავისით არ შენდება. არც ტვირთბრუნვა ჩნდება ცარიელ ადგილზე.

კავკასიაში ნებისმიერი ტვირთი პოლიტიკურად მოტივირებულია. ტვირთბრუნვასა და სხვა საკითხებზე აუცილებელია პარტნიორებთან შეთანხმება. ჩვენს შემთხვევაში ეს ვერ ხდება. იმავე რუსეთის ზეწოლის გამო არ ხდება კონტაქტი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან ან სხვებთან. ნებისმიერ პორტში უმთავრესია უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამაში მარტო ხანძარი ან სტიქია არ იგულისხმება.

– უსაფრთხოება ფართო ცნებაა.

– რასაკვირველია. პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოება არანაკლებად აქტუალურია.

– ანაკლიის შემთხვევაში არ არის დაცული უსაფრთხოება?

– არ არის დაცული. იქვე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთია. ანაკლიას ეშველება მაშინ, თუ ის აშშ-ის ფიზიკური და იურიდიული პირების გამგებლობაში გადავა.

– ჩვენი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ანაკლიის პროექტში ამერიკა ისედაც მონაწილეობს.

– ინვესტორებისა და ინვესტიციების მონაწილეობა სხვა კატეგორიაა. მე ვამბობ გამგებლობაზე, განკარგვაზე. თუ ამ რგოლში ამერიკელები იქნებიან, ეს შეაკავებს რუსეთს და შექმნის უსაფრთხოების გარანტიებს. ამით 50-წლიანი გათამაშებული ეპოპეა დასრულდება.



ყალბი ფუსფუსი ანაკლიის გარშემო განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო 15 წლის განმავლობაში. ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტსა და მის საკონტეინერო ტერმინალს დიდი სიგრძე უნდა ჰქონდეს. მან უნდა გადაფაროს გამყოფი ადმინისტრაციული ზოლი აფხაზეთთან, რომელსაც რუსები და აფხაზები საზღვარს უწოდებენ. ეს შექმნის უსაფრთხოების გარანტიებს, ასევე მინიმუმამდე დაიყვანს სხვადასხვა სახის დესტაბილიზაციას სამეგრელოში აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრამდე.

– ფოთში ღრმაწყლოვანი პორტის აგების იდეა ანაკლიის წინააღმდეგაა მიმართული?

– ეკონომიკური აქტივობის ფოთში გადმოტანა რუსეთიდან მოდის. რუსები ძალიან დაიძაბნენ ამერიკული აქტიურობის ზრდით საქართველოში. კრემლს აშფოთებს, რომ იზრდება აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესი საქართველოში. გარდა ამისა, ჩრდილოელი მეზობელი აგრძელებს ხელისუფლების გადაბარების ვარიანტების გათამაშებას საქართველოში.

– ზუგდიდზე, დავითგარეჯსა და პანკისზე ადრე ისაუბრეთ. გადაბარების სხვა სცენარებიც დაიდგა?

– რუსმა პოლიტტექნოლოგებმა ბოლო დროს კიდევ ერთი კარტი გაათამაშეს – სოციალური აფეთქება ჭიათურაში.

– ესეც რუსეთიდან ნაკარნახევი სცენარია?

– რასაკვირველია. ამაზე უტყუარი ინფორმაცია მაქვს. ჭიათურის გაფიცვა და მიტინგები თავიდან მოაზრებული იყო ზუგდიდის მოვლენების პარალელურად. როცა ზუგდიდში მოვლენების აგორება შუალედური არჩევნების შემდეგ ჩაიშალა, ჭიათურის სცენარის დარეზერვება მოხდა.

როგორც ხედავთ, ჭიათურაშიც მინელდა მოვლენები. ამის გარდა, უნდოდათ დავითგარეჯის მუხტის გადმოტანა მარნეულში. პანკისშიც დიდი პროვოკაცია იგეგმებოდა.

პარლამენტში დაიწყო დეზინტეგრაციის პროცესი. ამ ყველაფრით რუსეთს უნდოდა ამერიკელების დარწმუნება იმაში, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ნიშნებია და ხელისუფლების გადაბარების დრო მოვიდა. პერიფერიებში დაწყებული კრიზისები თბილისში ვერ გადმოიტანეს. ამაზე კრემლის აქაურ მსახურებს მოსკოვიდან დასტური არ ჰქონდათ. პარლამენტის უმრავლესობიდან გამოსული ბესელია-კვაჭანტირაძე ჰაერში იყვნენ თვე-ნახევარი გამოკიდებული. მოგვიანებით სურკოვმა პარტიის შექმნის ნებართვა გასცა და ბესელიამაც პარტია შექმნა.

– ბესელია თავის ძალას „ოცნების“ ალტერნატივად აცხადებს.

– მაგას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. საყურადღებოა ის, რაც თქვა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ. მან გამოაცხადა, რომ კიდევ დიდხანს აპირებს პარტიის თავმჯდომარეობას.

– ეს რისი გამოვლინებაა?

– ეს სიტყვები გზავნილია დასავლეთისადმი. ამით ნათქვამია, რომ გადაბარება არ ხდება. რუსეთს ბევრი სცენარი ჩაეშალა და ანაკლიიაფოთის სკანდალი პოლიტიკური ინტერმეცოს შესავსებად გახდა საჭირო.

ფადი ასლი ფოთის პორტზე: „მთავრობას ჰგონია, ხალხი სულელია და ყველაფერს დაიჯერებს“

საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ფადი ასლი ფოთის პორტთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხმაურება და ამბობს, რომ წარმოუდგენელია, გაცემული ნებართვა პირადად ბიძინა ივანიშვილთან არ ყოფილიყო შეთანხმებული.

– პრემიერ-მინისტრი საპირფარეშოში არ გადის ისე, მინიმუმ ორჯერ თუ არ გაიარა საკითხი და ახლა გვეუბნებიან, რომ ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ისე დებს ხელშეკრულებას, რომ ბიძინა ივანიშვილთან არაა შეთანხმებული. ამათ ჰგონიათ, რომ ხალხი სულელია და ყველაფერს დაიჯერებს, – უთხრა ასლიმ რუსთავი 2-ს.

ფადი ასლის თქმით, ინვესტორებთან მსგავსი დამოკიდებულება გაუმართლებელია, თუმცა ის ცვლილებებს იქამდე არ ელის, სანამ ხელისუფლების სათავეში ბიძინა ივანიშვილი დარჩება:

– არ შეიძლება მსხვილ ინვესტორებთან ასე თამაში. ერთ დღეს აძლევ ნებართვას, მეორე დღეს ხელშეკრულებას უჩერებ. თუმცა, სამწუხაროდ, ეს დღევანდელი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია. ეს არის არაპროფესიონალიზმის უმაღლესი გამოვლინება და, სანამ ბიძინა ივანიშვილი იქნება ქვეყნის მმართველი, ჩვენ ასეთი ფაქტების წინაშე ყოველდღიურად დავდგებით.

შეგახსენებთ, რომ 29 მაისს „APM terminalsma“ გავრცელდა ინფორმაცია 2 მაისს ფოთში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. ამას მალევე მოჰყვა ანაკლიის კონსორციუმის განცხადება, რომ ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელება საფრთხის ქვეშ დგებოდა. 30 მაისს მთავრობამ უკან დაიხია – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ თქვა, რომ ფოთის პორტისთვის „მიწათსარგებლობის წინასწარი სარგებლობის დოკუმენტი“ გაიცა და ის უკვე გაუქმებულია.

ვახტანგ მაისაია: „სერიოზული მოთხოვნა რომ იყოს, სააკაშვილს დააპატიმრებდნენ და საქართველოში ჩამოაბრძანებდნენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლი გამოიყენოს მოსკოვთან მოსალაპარაკებლად დიალოგისთვის.

– რა შეუძლია სააკაშვილს, თუ არ გავითვალისწინებთ დასავლეთის წინააღმდეგ გაკეთებულ მის განცხადებებს?

– უკრაინის ჯერ კიდევ მოქმედ პროკურორ ლუცენკოს სააკაშვილზე რომ ჰკითხეს, თქვა, რომ სააკაშვილი არის მოღალატე, რაც მართალია. სააკაშვილს ბრალი აქვს წაყენებული მოსკოვთან და სეპარატისტებთან ურთიერთობიდან გამომდინარე. ეს ბრალი მისთვის არავის მოუხსნია. როგორც ჩანს, ეს ფაქტორი გამოიყენა ზელენსკიმ, რომ მოსკოვთან ურთიერთობები დაარეგულიროს. ამ ფაქტორს ნამდვილ გარემოებად მივიჩნევ.

ზელენსკი აგრძელებს ანტირუსულ პოლიტიკას და ევროპულ, დასავლურ კურსს, მაგრამ ასევე შეეცდება, რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესები გაითვალისწინოს, ასევე მოსკოვთან ჰქონდეს რბილი ურთიერთობა ისე, როგორც ახლა ჩვენ ვართ, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მიმართულებით.

ზელენსკიმ უკრაინის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა, სპეციალური ოპერაციების ზონაში საბრძოლო მოქმედებები შეაჩერონ, დაიცვან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სამშვიდობო შეთანხმება. ამის გამო უკრაინის შეიარაღებულ ძალებში ფარული ბუნტის ელემენტებიც შეიმჩნევა.

– რით გამოიხატა?

– ზოგჯერ ხდება ზელენსკის გარკვეული ბრძანების იგნორირება. ზელენსკი აშკარად ცდილობს, პოროშენკოს პერიოდში მოსკოვთან დაძაბული ურთიერთობა მშვიდობიან კალაპოტში მოაქციოს. ზელენსკიმ გაიმარჯვა სწორედ რუსულენოვანი მოსახლეობის ხარჯზე.

ზელენსკიმ მოსვლისთანავე განაცხადა, უკრაინის სახელმწიფო ენა ყველამ უნდა იცოდესო. რუსული ენის დაშვებაზე არაფერი უთქვამს. უკრაინული ენის დაცვის კანონი ზელენსკის მოსვლამდე რამდენიმე კვირით ადრე პოროშენკომ მიიღო და არა ზელენსკიმ. არ არის გამორიცხული, შემდეგ გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. პოროშენკომ დაასწრო, ყოველგვარი პროცედურა დაარღვია და ზელენსკი ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში.

შეიძლება, უმაღლეს რადაში ზელენსკის გაუჩნდეს კოალიცია და კანონში ცვლილებები შეიტანოს. ზელენსკიმ, თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, თავის საინაუგურაციო სიტყვაში ასევე რუსული ლექსიკა ჩართო და რუსულადაც მიმართა თავის ამომრჩევლებს. მან ორ ენაზე გააკეთა განცხადება – უკრაინულ და რუსულ ენებზე. ესეც საინტერესოა.

– სააკაშვილმა განაცხადა, დასავლეთს იმპერიალისტური მიზნები ამოძრავებს. მას უკრაინა საერთოდ არ აინტერესებს და არ ეხმარებაო. ამიტომ უკრაინაზე გავლენის დაკარგვის შიშით ხომ არ მიიწვია ტრამპმა ზელენსკი ამერიკაში?

– ამერიკას თავისი მოკავშირე სჭირდება და უნდა გაიცნოს ახალი პრეზიდენტი. ტრამპს უშუალოდ პოროშენკოსთან პრობლემები ჰქონდა. პოროშენკო და მისი გუნდი ჰილარი კლინტონს უჭერდნენ მხარს. ამ მხრივ სერიოზული მომენტები იყო. ამიტომ ტრამპს სურს, ზელენსკისთან პიროვნული ურთიერთობები დაამყაროს. ისინი ერთმანეთს ჰარმონიულად შეეხმატკბილებიან. ორივე არაორდინარული ფიგურაა როგორც პოლიტიკაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთო ენას გამონახავენ.

ზელენსკიმ ასევე კარგად დაამყარა ურთიერთობა საფრანგეთის პრეზიდენტთან. ასევე შეეცდება, მოსკოვთანაც დაამყაროს გარკვეული ურთიერთობები. ზელენსკი რუსულად მოლაპარაკე პოლიტიკოსია. ის რუსეთშიც იყო წარმოჩენილი, მაგრამ უკრაინის პატრიოტად რჩება და უფრო მოქნილი იქნება, ვიდრე პოროშენკო. მან კარგად გამოიყენა იდეალიზებული პროექტი და ტიმოშენკოც და იუშჩენკოც დამარცხდნენ არჩევნებში.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ზელენსკის სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად სჭირდება. სააკაშვილს რუსეთში ვინ უჯერებს და რა გავლენა აქვს კრემლზე?

– სააკაშვილი გახდა რუსეთში ლიბერალური კლანის წარმომადგენელი. ის არის ფრიდმანი და სურკოვი. ეს ის დაჯგუფებაა, რომელიც პუტინის ფინანსურ-ეკონომიკურ სპექტრს წარმოადგენს. სააკაშვილი ოფიციალურად არის მიხეილ ფრიდმანის „ალფაბანკის“ ეგიდით მოქმედი ერთ-ერთი ბლოკჩეინური კომპანიის სახე და იქიდან ოფიციალურად ფულს იღებს როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ დონეზე.

სააკაშვილს ასევე ურთიერთობა ჰქონდა მოსკოველ ოლიგარქ კურჩენკოსთან. ის წარმოადგენს იანუკოვიჩის დაჯგუფებას და შესაძლოა იანუკოვიჩზე გასვლაც მოხდეს. ეს ყველაფერი მოსკოვთან ურთიერთობის დასამყარებლად სჭირდება და ზელენსკი ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს. გარდა იმისა, რომ კოლომოისკის სააკაშვილი სჭირდება, რათა ოლიგარქების (ფირტაშის, პოშენკოსა და სხვების) წინააღმდეგ გამოიყენოს, როგორც ინსტრუმენტი და დაიბრუნოს ის აქციები, რომლებიც დაკარგა.

სააკაშვილს რომ ააყენებენ სხვადასხვა მიმართულებით, სულ სხვა შედეგი იქნება. როგორც კი სააკაშვილი თავის ფუნქციას შეასრულებს, მას ისე მოისვრიან, როგორც ეს პოროშენკომ გააკეთა. ამიტომ უკრაინაში სააკაშვილის როლი არის ტექნოკრატიული. ის არის ინსტრუმენტი და მარიონეტი მაღალი დონის პოლიტიკური დაჯგუფებებისთვის. ესენია ზელენსკი-კოლომოისკი-ავაკოვი, რომელსაც დაუპირისპირებენ სხვა მიმართულებას.

– ნაციონალები სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებას სამართლიანობის აღდგენას უწოდებენ – ეს გახდება საფუძველი, სამართლიანობა საქართველოშიც აღდგესო. პროკურორი აცხადებს, საექსტრადიციო პროცედურები დაწყებულიაო. რატომ არ დააპატიმრეს მაშინ, როდესაც სააკაშვილი თვეების განმავლობაში ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობდა და ქართველ ემიგრანტებს ხვდებოდა?

– სააკაშვილის მიმართ 5 საქმეზე მაინც არის განაჩენი გამოტანილი. ორ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. ეჭვი არ მეპარება, რომ გამოძიება გავა მიხეილ სააკაშვილზე.

– დამნაშავე პირი ერთი ქალაქიდან მეორეში დადის და მას ხმას არავინ სცემს, არც ერთი ქვეყანა ხელს არ გვიწვდის, არ აპატიმრებს.

– როგორც ჩანს, გულიანად არ ეძებენ. სერიოზული მოთხოვნა რომ იყოს, სააკაშვილს დააპატიმრებდნენ და საქართველოში ჩამოაბრძანებდნენ. მაგისთანები ჩამოუყვანიათ? ფუხიმორი და სხვა ლიდერები დააპატიმრეს და სააკაშვილი მათთან შედარებით არაფერია.

იტალიის ელჩი: „საქართველოში ბიზნესის დაწყება ადვილია, მისი გაფართოებაა რთული“

საქართველოში ბიზნესის დაწყება ადვილია, მისი გაფართოებაა რთული.

ამის შესახებ საქართველოში იტალიის ელჩი ანტონიო ენრიკო ბარტოლი აცხადებს.

დიპლომატი იმ მიმართულებებზეც საუბრობს, რომლებზეც საქართველომ ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებისთვის აქცენტი უნდა გააკეთოს.

– ვფიქრობ, საქართველოს ეკონომიკა ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად ვითარდება, კარგი ბიზნესგარემოა, შემცირებულია საგარეო ვალი, ინფლაციის დონე შემცირებულია. რაც შეეხება სიღარიბეს, ის კვლავ პრობლემად რჩება, თუმცა ბოლო ბოლო 20 წლის განმავლობაში ამ თვალსაზრისით ცხადია მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს, ახლა ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს პოტენციალი, რაზეც ვისაუბრე, პრაქტიკაში გადმოიტანოთ და მისი რეალიზება მოხდეს, ამისათვის კი საჭიროა, რომ მაგალითად ბერკეტად გამოიყენოთ ევროკავშირთან ღრმა დაა ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები, მოახდინოთ იმ პროდუქტების იდენტიფიცირება, რომელზეც ფოკუსირდებით. ეს უნდა მოხდეს გონივრულ დროში. ეს ეხება საშუალოვადიან პერიოდში გასატარებელ ღონისძიებებს.

რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდში გასატარებელ მნიშვნელოვან ზომებს, ისინიც უნდა განახორციელოს მთავრობამ, რათა ინვესტორებისთვის მიმზიდველი იყოს ქვეყანა: ასეთია მაგალითად პოლიტიკური სტაბილურობა, სასამართლო სისტემის ეფექტიანობა, ინსტიტუციების სტაბილურობა, დემოკრატია და ზოგადად ყველა ის რეფორმა, რომელიც საიმედოობის განცდასა და უსაფრთხოების გარანტიებს უზრუნველყოფს პოტენციური ინვესტორისთვის. გამოვყოფდი კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობასა და ამჟამად მიმდინარე საპენსიო რეფორმასაც, ისევე როგორც გადახდისუუნარობის რეფორმას – ეს ყოველივე ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის.

საქართველოში ბიზნესის დაწყება ადვილია, მისი გაფართოებაა რთული. აქვე აღვნიშნავ, რომ ყველაზე პერსპექტიული სექტორი საქართველოში ტურიზმია სხვადასხვა მიზეზების გამო. ამ სექტორში ყველას თანაბარი შანსები აქვს განახორციელოს კონტრიბუცია და მიიღოს შემოსავალი, ტურიზმი საქართველოს ინკლუზიური ზრდის გარანტია, – აცხადებს ელჩი.

BMG

ორთაჭალაში, შესაძლოა, მიწისზედა მეტრო გაიყვანონ

თბილისის მერიის ვებგვერდზე ქალაქის განვითარების შესახებ მოქალაქეთა იდეების მიღება გრძელდება.

ამ ეტაპზე ვებგვერდზე 75 მიმდინარე, 343 დაბლოკილი, 871 არშემდგარი იდეა ფიქსირდება. 20 იდეა განხილვის პროცესშია, სამი – უკვე შეთანხმებული, 1 კი უარყოფილია.

„ბიზნესპრესნიუსი“ მიმდინარე განცხადებებიდან ერთ-ერთს გთავაზობთ, რომელიც ორთაჭალაში მიწისზედა მეტროსადგურის გაყვანას გულისხმობს.

– იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოეწყოს მიწისზედა მეტროს სადგური ორთაჭალის ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებების მიმდებარედ. მოგეხსენებათ აღნიშნულ ტერიტორიაზე თავმოყრილია სამინისტროებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი და განსაკუთრებით დილის და საღამოს საათებში ქალაქში არსებული საცობები სწორედ მანდ დასაქმებული თანამშრომლების ტრანსპორტირებით არის განპირობებული.

მეტროსადგურის მოწყობით, ერთი მხრივ, საგრძნობლად განიტვირთება მოძრაობა, ხოლო მეორე მხრივ დასაქმებულთა უმეტესობა გადავა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რითაც როგორც დროის, ისე ფინანსური რესურსი დაიზოგება, – აღნიშნულია მოქალაქის განცხადებაში.

ამ იდეისთვის ხმის მიცემის ვადა 14 ივლისამდეა.

BP

7 სიცოცხლე, რომლებიც ექიმების შესაძლო არაკვალიფიციურობას ემსხვერპლა

საია-ს აჭარის ფილიალი 2017 წლიდან რეგულარულად განიხილავდა სავარაუდო არაკვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად გარდაცვლილი პაციენტების საქმეებს, რომლებშიც არაეფექტური გამოძიების დეტალები იკვეთებოდა.

7 გარდაცვლილი პაციენტის საქმე და ფაქტობრივი გარემოებები

– ჯ.ჩ-ს განმარტებით, მისი მეუღლე ნ.ჩ. იყო ორსულად, მუცლის არეში ტკივილების გამო ექიმთან კონსულტაციაზე წაიყვანა, სამედიცინო სფეროს წარმომადგენელმა გადაწყვიტა, ნ.ჩ-სთვის გაეკეთებინა საკეისრო კვეთა.

ოპერაციული ჩარევის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ აუცილებელი გახდა მისი გადაყვანა თურქეთის რესპუბლიკაში.

თურქეთის კლინიკაში ჩატარებული ანალიზებით დადგინდა, რომ საქართველოში განხორციელებულმა არასწორმა სამედიცინო ჩარევებმა გამოიწვია პაციენტის კრიტიკული მდგომარეობა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით ნ.ჩ-ს ოჯახის წევრებმა მიმართეს პროკურატურას, თუმცა გამოძიება დაუსაბუთებლად ჭიანურდება.

გარდაცვლილის ოჯახმა ასევე მიმართა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, საიდანაც პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

– ქ.ჯ-ს განმარტებით, 2018 წლის 19 აპრილს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, დ.კ. შეუძლოდ გახდა, რის გამოც სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახეს.

პაციენტი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გაუკეთდა ანალიზები. ექიმთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ პაციენტისთვის გაეკეთებინათ აპენდიციტის ოპერაცია და საოპერაციოდ მოამზადეს.

რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ ნათესავებმა მოიკითხეს პაციენტის მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ დ.კ-სთვის ოპერაცია საერთოდ არ გაუკეთებიათ და ამ დროის განმავლობაში გარდაცვლილი იყო პალატაში.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო პროკურატურამ. ასევე, ოჯახმა მიმართა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, საიდანაც პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

– ლ.ლ-ს განმარტებით, 2018 წლის 14 დეკემბერს ე.ჩ-მ თავი ცუდად იგრძნო, რის გამოც სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახეს.

პაციენტი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გადაუღეს თირკმლის ექოსკოპია, დაფიქსირდა 9 მმ კენჭი, პაციენტს გაუკეთდა ანალიზები, მორფინი. ტკივილის გაყუჩების შემდეგ იგი საავადმყოფოდან გაწერეს.

სახლში მისვლისთანავე პაციენტის მდგომარეობა გახდა კრიტიკული, ვინაიდან პაციენტს ჰქონდა ფილტვის თრომბი, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია.

მომხდართან დაკავშირებით ე.ჩ-ს ოჯახის წევრებმა 2019 წლის 14 იანვარს მიმართეს პროკურატურას და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, საიდაც პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

– მ.ს-ს განმარტებით, 2018 წლის 25 დეკემბერს მისი შვილი ს.კ. გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში უტარდებოდა მკურნალობის კურსი, თუმცა, უშედეგოდ. ამის გამო ოჯახი დაინტერესებული იყო პაციენტის სხვა კლინიკაში გადაყვანით, რასაც ეწინააღმდეგებოდა კლინიკის ექიმი.

როდესაც პაციენტის მდგომარეობა კრიტიკული გახდა, ექიმის გადაწყვეტილებით, ს.კ. გადაიყვანეს თბილისში.

ექიმის გადაწყვეტილებით, ს.კ-ს ჩაუტარდა თირკმლის ოპერაცია, რა დროსაც არასწორად ჩაუსვეს კათეტერი. აღნიშნულის გამო ს.კ-ს მდგომარეობა გახდა კრიტიკული, რამაც საბოლოოდ პაციენტის სიკვდილი გამოიწვია.

მომხდართან დაკავშირებით, ს.კ-ს ოჯახის წევრებმა 2019 წლის 19 აპრილს მიმართეს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, საიდანაც პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

– შ.ი-ს განმარტებით, 2017 წლის 17 მარტს მისი შვილი ა.ბ. მაღალი ტემპერატურის გამო გადაიყვანა საავადმყოფოში, ექიმმა პაციენტს გაუკეთა მხოლოდ სისხლის ანალიზი, რის შემდეგაც შ.ი-ს განუმარტა, რომ ა.ბ-ს მდგომარეობა იყო სტაბილური და შეეძლოთ, სახლში დაბრუნებულიყვნენ.

სახლში დაბრუნების შემდეგ ა.ბ-მ თავი ცუდად იგრძნო, გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საავადმყოფოში ხელახლა გადაყვანის შემდეგ შ.ი-ს ექიმებმა განუმარტეს, რომ ა.ბ-ს გადარჩენა შეუძლებელი იყო, ვინაიდან მკურნალობა დაგვიანებული იყო.

2017 წლის 22 მარტს პაციენტი გარდაიცვალა.

ოჯახს არ მიუმართავს პროკურატურისა და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსათვის.

– ნ.დ-ს განმარტებით, მისი შვილი, თ.გ. გარდაიცვალა 2017 წლის 13 იანვარს, რისი მიზეზიც კურორტ „გოდერძზე“ თხილამურებით სრიალისას მიღებული ტრავმა და შემდგომი არასათანადო სამედიცინო მკურნალობა იყო.

2017 წლის 31 იანვარს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაიწყო მოკვლევა და დაადგინა პაციენტ თ.გ-ს მკურნალობაში დაშვებული შეცდომები.

2018 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარგლებში შექმნილმა პროფესიული რეგულირების საბჭომ“ ორ ექიმს გაუუქმა სახელმწიფო სერტიფიკატი შესაბამის სპეციალობებში, ხოლო ერთ ექიმს სამი თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება „საოჯახო მედიცინა“ და დაევალა სპეციალური რეაბილიტაციის კურსის გავლა თემაზე „პირველადი და გადაუდებელი დახმარება ტრავმული დაზიანებების დროს.“

ამასთან, 2017 წლის 13 იანვარს აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება, თუმცა არცერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

– ა.ფ-ს განმარტებით, მისი ძმა ზ.ფ. გარდაიცვალა 2018 წლის 31 მარტს, რისი მიზეზი არასათანადო სამედიცინო მკურნალობა იყო.

2019 წლის მარტში სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაიწყო მოკვლევა და დაადგინა პაციენტ ზ.ფ-ს მკურნალობაში დაშვებული შეცდომები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, ერთ ექიმს ერთი თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება.

ამასთან, არც ერთი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ“ ზემოაღნიშნული 7 ფაქტიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში მიიღო გადაწყვეტილება.

ერთ შემთხვევაში, კერძოდ, ზ.ფ-ს საქმეზე, სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაიწყო მოკვლევა და დაადგინა პაციენტის მკურნალობაში დაშვებული შეცდომები. აღნიშნულის შემდეგ ამავე სააგენტოს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა პაციენტის მკურნალი ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ექიმს ერთი თვით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება. ამ ვადის დასრულების შემდეგ იმავე ექიმის შეცდომის გამო დაიღუპა პაციენტი, რომლის ოჯახის წევრმა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ასევე მიმართა საჩივრით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიზანშეწონილად მიიჩნევს მსჯელობას იმაზე, რამდენად არის სააგენტოს პროფესიული განვითარების საბჭოს გამოყენებული სანქცია პრევენციული ღონისძიების შემცველი და რამდენად უსაფრთხოა მომავალი პაციენტებისათვის სახდელდადებული ექიმის მიერ გაწეული მკურნალობა.

მეორე შემთხვევაში, კერძოდ, თ..-ს საქმეზე, დაიწყო მოკვლევა და გამოკვეთა პაციენტის მკურნალობის პროცესში დაშვებული შეცდომები. ამის შემდეგ ამავე სააგენტოს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა პაციენტის მკურნალი სამი ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. საბჭომ მიმართვიდან 15 თვეში მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ორ ექიმს გაუუქმდა სახელმწიფო სერტიფიკატი შესაბამის სპეციალობებში, ხოლო ერთ ექიმს სამი თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება.

საიას განცხადებით, აღნიშნული მიუთითებს, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში გადაწყვეტილების მიღება ჭიანურდება.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსა და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარგლებში შექმნილი პროფესიული რეგულირების საბჭოს დებულება არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც სავარაუდო სამედიცინო გადაცდომის შესახებ უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. ასეთ შემთხვევაში კი სააგენტოსა და საბჭოსთვის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოებისთვის, მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (სზაკ) დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი და ვადა, რომელიც ერთ თვეს შეადგენს. მიუხედავად ამისა, როგორც საია აცხადებს, არც სახელმწიფო საქმიანობის რეგულირების სააგენტო და არც პროფესიული განვითარების საბჭო იცავს სზაკ-ით დადგენილ ვადებს და, ფაქტობრივად, აჭიანურებს მოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

პროკურატურისადმი მიმართვის მიუხედავად, არც ერთ შემთხვევაში არ დამდგარა არც ერთი ექიმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც, საიას განცხადებით, ამ მიმართულებით საგამოძიებო ორგანოების მუშაობის შესაძლო არაეფექტიანობაზე მიუთითებს.

საიას განცხადებით, პროკურატურა ასევე აჭიანურებს პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას, რის შედეგად, გარდაცვლილი პაციენტის ახლობლებს ერთმევათ შესაძლებლობა, გაეცნონ სისხლის სამართლის საქმის მასალებს და გამოძიების პროცესში მეტად იყვნენ ჩართულები.

ორგანიზაცია აქვე აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის გონივრული ვადა ამ ეტაპზე გასული არ არის.

პრევენციის მიზნებისთვის, საიას განცხადებით, არც რეგულირების სააგენტო და არც პროფესიული განვითარების საბჭო არ სწავლობს სამედიცინო გადაცდომებით დამდგარ ცუდ პრაქტიკას, არ განაზოგადებს მას და არ შეიმუშავებს სავალდებულო რეკომენდაციებს/გაიდლაინებს მსგავსი შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ მეან-გინეკოლოგებსა და ნეონატოლოგებს ევალებათ რესერტიფიცირება და თავიანთი კვალიფიკაციის დადასტურება. ეს ვალდებულება სხვა პროფილის ექიმებს არ ეკისრებათ, რაც, საიას შეფასებით, პრობლემაა ექიმთა უწყვეტი კვალიფიციურობის უზრუნველსაყოფის მხრივ.

როგორც საია აცხადებს, მართალია, სსიპ სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კანონითა და დებულებით აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან როგორც პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი, ისე სამედიცინო დაწესებულებების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება (სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები). თუმცა, ზემოთ განხილული შემთხვევების ფონზე, სადავოა აღნიშნული ბერკეტის ეფექტიანობა.

საია ხაზგასმით აღნიშნავს არაკვალიფიციური მკურნალობის შედეგად გარდაცვლილი პაციენტების საქმეში სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. ორგანიზაციის განცხადებით, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა, რათა არ გაჩნდეს კითხვები სამართალწარმოების ობიექტურად, მიუკერძოებლად და ეფექტიანად წარმართვასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია მიზანშეწონილად მიიჩნევს:

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, სრულყოფილად და ეფექტიანად უნდა მოახდინოს მოკვლევა და მის ფარგლებში შექმნილმა პროფესიული რეგულირების საბჭომ დამრღვევი ექიმების მიმართ გამოიყენოს პროპორციული და ადეკვატური სანქციები;

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსა და პროფესიული განვითარების საბჭოს დებულებში შესაბამისად გაიწეროს მოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული ვადები.

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულებას უნდა დაემატოს საჩივრების საფუძველზე ერთგვაროვანი სამედიცინო გადაცდომების განზოგადებისა და განზოგადების საფუძველზე სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციების/გაიდლაინების შემუშავების ფუნქცია. ასევე, სააგენტომ უნდა მიაწოდოს სადავოდ გამხდარი სამედიცინო მკურნალობის კვლევისა და შეფასების შედეგები იმ საავადმყოფოს, რომელშიც პაციენტს ხარვეზიანი მკურნალობა გაეწია, რათა შემდგომში კლინიკამ მსგავსი შეცდომა თავიდან აიცილოს.

რესერტიფიცირება და კვალიფიკაციის დადასტურება, უწყვეტი სამედიცინო განათლების კონტექსტში, უნდა გახდეს სავალდებულო ყველა პროფილის ექიმისთვის დროის გონივრულ ინტერვალში.

კლინიკების მიერ სალიცენზიო და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი უნდა იყოს რეგულარული და მყისიერი, რაც გულისხმობს სააგენტოს უფლებამოსილებას, შეამოწმოს კლინიკები წინასწარი გაფრთხილებისა და რეგულარული შემოწმებით გათვალისწინებული ვადების ფარგლებს გარეთ.

საქართველოს პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს განცხადებაში მითითებული საქმეების სრულყოფილი და დროული გამოძიება. ამასთან, არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების შედეგად გარდაცვლილი პაციენტების საქმეებზე, გამოძიების საკითხის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გაავრცელოს ინფორმაცია გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესის გარშემო არსებული დეტალების შესახებ.

„ნეტგაზეთი“

„სირცხვილი თქვენ, სირცხვილი, მაიმუნები ხართ!“

ბათუმში მაღალჩინოსნებისთვის პატიმრობის შეფარდებას ხმაური მოჰყვა

– სირცხვილი თქვენ, სირცხვილი, მაიმუნები ხართ! – ასეთი შეძახილებით შეხვდნენ ბათუმის მერიის მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის გამოტანილ განაჩენს ბრალდებულების ახლობლები.

დაცვის მხარის მტკიცებით, ბრალდებულების პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა არ არსებობდა. ადვოკატები გირაოს შეფარდებას ითხოვდნენ.

– არ იყო იმის საფუძველი, რომ გამოტანილიყო პატიმრობა. აშკარად იყო მინიმუმ იმის საფუძველი, რომ გირაო დაკმაყოფილებულიყო. ისეთი არგუმენტაცია იყო დაცვის მხარის მიერ წარდგენილი, რომ ამის 100%-იანი საფუძველი იყო, – განაცხადა გოგა ღომაძის ადვოკატმა დავით ჩავლეიშვილმა.

ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას გეგმავენ.

– ჩვენ ვყოფილვართ თურმე შეკრული დამნაშავეები, – განაცხადა ბათუმის ყოფილმა მერმა გიორგი ერმაკოვმა.

მან თქვა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

– მე არ ვსაუბრობ ფაქტობრივ გარემოებებზე, მთელ ქალაქში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც აქ მსხდომ ღირსეულ ადამიანებს არ იცნობდეს. ეს შეეხო ჩემს ღირსებას და ოჯახს.

ჩვენ ვყოფილვართ თურმე შეკრული დამნაშავეები. მე პირველად მიწევს სასამართლო სხდომაზე ყოფნა, მით უმეტეს, ამ ფორმაში. მე ვთანამშრომლობდი და მზად ვარ, ვითანამშრომლო გამოძიებასთან, არავინ არ აპირებს ქალაქიდან წასვლას.

რამდენიმე წლის წინ ვიმყოფებოდი პროკურატურაში გამოკითხვაზე – იმ პერიოდში მეგობრებთან ერთად სამოგზაუროდ ვგეგმავდი წასვლას, თუმცა არ წავედი, რომ კითხვით ნიშნები არ გაჩენილიყო. ყველა ჩვენთაგანი ვალდებულიცაა და ამას გავაკეთებთ, რომ სასამართლოში ნებისმიერ დროს გამოვცხადდებით. ჩემი თავი ამ წუთას არ მადარდებს, ვდარდობ ჩემს ოჯახს. აღკვეთის ღონისძიება გირაოთი შეიცვალოს, – განაცხადა გიორგი ერმაკოვმა.

კიდევ ერთმა დაკავებულმა, აჭარის ფინანსთა მინისტრის მოადგილე არჩილ ვანაძემ, განაცხადა, რომ ბრალდების მხარე ვერც ერთ ფაქტს ვერ დაასახელებს, რომ მასთან არ ითანამშრომლა.

– დაკავების დროს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ვიმყოფებოდი და არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია. თეორიულად ბევრი რამე შეიძლება ვივარაუდოთ, თუმცა გაქცევა გამორიცხულია. შეუძლებელია, რომ ვინმემ რაიმე ზეგავლენა მოახდინოს. გთხოვთ, აღკვეთის ღონისძიების სახით 30 ათას ლარიანი გირაო გამოიყენოთ, – განაცხადა არჩილ ვანაძემ.

აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს ბრალდების მხარემ მიმართა. პროკურორის განცხადებით, სასამართლოზე წარმოდგენილი იქნა ყველა საჭირო მტკიცებულება.

– სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის არგუმენტაცია. დასაბუთებული იყო ჩვენი შუამდგომლობა. აჭარის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში კვლავ მიმდინარეობს გამოძიება ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, შესაბამისად აღნიშნული გამოძიების ფარგლებში შესაძლოა გამოვლინდნენ დანაშაულის ჩამდენი პირები, – განაცხადა პროკურორმა რამაზ შავაძემ.

თავად ბრალდებულები დანაშაულს არ აღიარებენ.

ბათუმის მერიის ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები გასულ კვირას დააკავეს. მათ გამოძიება ბიუჯეტიდან თანხის მითვისებასა და გაფლანგვას, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავება.

ჩხოროწყუში ხობელი ქალი ფეხბურთელებმა ცემეს

ჩხოროწყუს საფეხბურთო სტადიონზე გამართული მატჩი ხობის „კოლხეთსა“ და ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ შორის ინციდენტით დასრულდა.

ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ ხობის ქალთა ფეხბურთის კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ლატარიამ განუცხადა.

– როგორც კი ჩვენი ქალთა გუნდი ჩავიდა ჩხოროწყუში სათამაშოდ, ერთგვარი მობილიზება შეინიშნებოდა, თითქოს „მტრები“ ჩავედით იქ. მსაჯის მხრიდან დაწყებული იყო აგრესია ჩვენი გოგონების მიმართ.

პირველი ტაიმის დასასრულს გასახდელში დაიწყო საშინელი ხმაური და წივილ-კივილი. იმათი მწვრთნელი იძახდა, თქვენმა გოგონებმა ჩვენებს შეაგინესო. მე ცხოვრებაში არ მინახავს მსგავსი სიტუაცია. ჩემი გუნდიდან სამი ფეხბურთელია დაშავებული. ესენი არიან: ანა წულაია, მარი გოროზია და თათია ჯიშკარიანი. გოგონებს აქვთ ტვინის შერყევა, ზუგდიდშიც მყავდა საავადმყოფოში და ექიმმა 5- დღიანი წოლითი რეჟიმი გამოუწერა, – განაცხადა მწვრთნელმა.

ქალთა საფეხბურთო მატჩის დროს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებულია.

ფეხბურთის ფედერაციაში „პრაიმტაიმს“ განუცხადეს, რომ მომხდართან დაკავშირებით სადისციპლინო კომიტეტი ორივე მხარეს მოუსმენს.

შსს-მ 55 მილიონი ლარის ნარკოტიკები გაანადგურა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაანადგურა. სისხლის სამართლის 737 საქმეზე სხვადასხვა დროს ნივთმტკიცებად ამოღებული, განადგურებული ნარკოტიკების ღირებულება „შავ ბაზარზე“ დაახლოებით 55 მილიონი ლარია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე სამართალდამცველები ნარკოტიკულ და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიის თანდასწრებით ეტაპობრივად ანადგურებენ.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაანადგურა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები: 178 კილო და 667 გრამი ჰეროინი, 2088 აბი „სუბუტექსი“, „კოდეინის“ შემცველი 590 აბი, 38.471 გრამი მეტადონი, 525 აბი და 18.21 გრამი „მდმა“, 170 აბი „ტრამადოლი“, ასევე, დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები.

სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოტიკები ახალი ტექნოლოგიით, შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტების მაღალტემპერატურულ ღუმელში განადგურდა. ნარკოტიკული საშუალებების განადგურების პროცესს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა სამინისტროს და უწყების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

გუდაურში ფილიპინელი ტურისტი პარაპლანიდან არაგვში ჩავარდა და დაიღუპა

გუდაურში უბედური შემთხვევის შედეგად ფილიპინელი ტურისტი დაიღუპა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით, 1997 წელს დაბადებული ი.ნ. და ტურისტი, ფილიპინების მოქალაქე ბ. მ. პარაპლანით გუდაურიდან გამოფრინდნენ, ღუდის ხეობაში კი მართვა დაკარგეს და მდინარე არაგვში ჩაცვივდნენ.

მომხდარის შედეგად უცხო ქვეყნის მოქალაქე გარდაიცვალა.

მაშველებმა ყაზბეგში გერმანელი ქალი გადაარჩინეს

მაშველებმა ყაზბეგში გერმანელი ტურისტი გადაარჩინეს.

როგორც სამაშველო სამსახურში რუსთავი 2-ს განუცხადეს, 112-ში შევიდა შეტყობინება, რომ დაბა სტეფანწმინდაში თხილამურებით სრიალის დროს გერმანიის მოქალაქე დაშავდა.

„შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე უმოკლეს დროში მოხდა სწრაფი რეაგირების მაშველების მობილიზება, რომლებმაც სპეციალური აღჭურვილობის საშუალებით ქალბატონი უსაფრთხო ადგილზე ჩამოიყვანეს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ტურისტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

შსს-მ საბურთალოზე უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ნ. კ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „ბრაუნინგისა“ და „ტოზის“ მოდელის არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და საბრძოლო ვაზნები ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ზესტაფონში ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, 1972 წელს დაბადებული გ. ს. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ზესტაფონში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ჩადენილი დანაშაული ექვს წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

„სამართალდამცველებმა, გ.ს.-ს პირადი ჩხრეკისას, ორ შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი ამოიღეს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

ყვარელში მანქანამ 60 წლის მასწავლებელი ქალი გაიტანა და მოკლა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სანავარდოში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 60 წლის ქალი დაიღუპა.

როგორც „რეგინფოს“ ადგილობრივებმა უთხრეს, ქალი, სავარაუდოდ, გზაზე გადადიოდა, როდესაც ჯიპის ტიპის ავტომობილი დაეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევა ცენტრალურ გზაზე მოხდა.

გარდაცვლილი ქალი ადგილობრივი სკოლის მასწავლებელია.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები.

ავარია ლუბლიანას ქუჩაზე

2 ადამიანი მსუბუქად დაშავდა

დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს საპირისპირო მიმართულებით მოძრავი „აუდის“ მარკისა და „მერსედესის“ ავტომობილები შეეჯახნენ.

შემთხვევის შედეგად მსუბუქი დაზიანებები მიიღო ორმა მგზავრმა.

გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს და რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ლონდონის მერმა ტრამპის განცხადებები ფაშისტების რიტორიკას შეადარა

ლონდონის მერმა სადიკ ხანმა აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებები თავისი მომხრეების გაერთიანებასთან დაკავშირებით მე-20 საუკუნის ფაშისტების რიტორიკას შეადარა.

მან ტრამპს ლიბერალური დემოკრატიისთვის „მზარდი გლობალური საფრთხის“ მაგალითი უწოდა.

ლონდონის მერმა ევროპელი პოლიტიკოსებიც გააკრიტიკა.

მისი თქმით, ვიქტორ ორბანი უნგრეთში, მატეო სალვინი იტალიაში, მარინ ლე პენი საფრანგეთში და ნაიჯელ ფარაჟი დიდ ბრიტანეთში მხარდაჭერის მოსაპოვებლად ისეთივე რიტორიკას იყენებენ, როგორსაც მე-20 საუკუნის ფაშისტები.

– და ისინი პოულობენ ნიადაგს და იღებენ ძალაუფლებასა და გავლენას ისეთ ადგილებში, რომლებშიც წარმოუდგენელი იყო ეს რამდენიმე წლის წინ, – განაცხადა ლონდონის მერმა.

ტრაგედია ვირჯინიაში

ვირჯინიაში ტრაგედია მოხდა. ქალაქის მუნიციპალური სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა თავის ყოფილ კოლეგებს ცეცხლი გაუხსნა.

შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, 1 დაიჭრა.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა. მკვლელმა დანებების თაობაზე წინადადებას სიცილით უპასუხა და ცეცხლი უკვე პოლიციას გაუხსნა. ორმხრივი სროლის შედეგად მკვლელი ლიკვიდირებულ იქნა.

დადგენილია მკვლელის გვარი: კრედოკი. ჯერჯერობით უცნობია მოტივი, რომელმაც ასეთი ამაზრზენი დანაშაულის ჩადენა აიძულა.

რომის პაპი რუმინეთში ჩავიდა

რომის პაპი ფრანცისკი რუმინეთში ჩავიდა. შუმულეუ-ჩუკის მონასტერში მან გადაიხადა მესა, რომელსაც 35.000 ადამიანი დაესწრო.

პაპმა რუმინეთის მართლმადიდებელ და კათოლიკე მოსახლეობას ერთიანობისაკენ მოუწოდა.

დღეს ეს ძალზე აქტუალურია, რადგან კათოლიკეები ძირითადათ რუმინეთში მცხოვრები უნგრელები არიან. ისინი ტრანსილვანიაში ცხოვრობენ.

უნგრეთი ამ რეგიონს, ტრადიციულად, თავისად თვლიდა. ამან უნგრელებსა და რუმინელებს შორის მტრობა ჩამოაგდო. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში საქმე ეთნოომამდეც კი მივიდა. რუმინელმა რკინის გვარდიელებმა შექმნეს იული მანიუს სახელობის რაზმები და უნგრელების ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს. ამან ორ ერს შორს ისეთი სიძულვილი დათესა, რომ მის შედეგებს უნგრეთი და რუმინეთი დღესაც იმკიან.

– წარსული უნდა დავივიწყოთ. მტრობას სიკეთე არასოდეს მოუტანია, – თქვა პაპმა.

აშშ-მ ჩინეთი გააკრიტიკა

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა შენაჰენმა განაცხადა, რომ ჩინეთი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მკვეთრად გააქტიურდა.

ჩინეთის დაზვერვა უახლოეს ტექნოლოგიებზე ნადირობს. პარალელურად რეგიონში აშშ-ის მოკავშირეთა წინააღმდეგ სისტემატურად ხორციელდება კიბერშეტევები.

– ჩინეთის ასეთი მოქმედება ჩვენთვის სავსებით მიუღებელია, – ამბობს შენაჰენი.

რუსეთში სამხედრო ცენტრში აფეთქება მოხდა

ქალაქ ძერჟინსკის თავდაცვითი მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრ „კრისტალში“ აფეთქება მოხდა.

მისი ხმა მთელ ქალაქში ისმოდა. ბევრი სახლის ფანჯრები ჩაიმსხვრა.

აფეთქების შედეგად დაზიანება 79-მა ადამიანმა მიიღო. დაღუპულთა თაობაზე ინფორმაცია ჯერჯერობით არ არის.

მეფე სალმანი: „ირანი ტერორიზმის სპონსორია!“

მექაში ისლამური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების სამიტი გაიმართა.

გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია საუდის არაბეთის მეფის სალმანის გამოსვლამ, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას შეეხებოდა. სალმანმა განაცხადა, რომ ირანმა სხვადასხვა ექსტრემისტული ჯგუფის შეიარაღება ცადა. შედეგად რეგიონის მდგომარეობა იძაბება.

– ირანი ტერორიზმის სპონსორია! – თქვა სალმანმა.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრალდება უარყო. მან თქვა, რომ საუდის არაბეთი ამერიკის დაკვეთით ირანის წინააღმდეგ ცილისწამებას ავრცელებს.

ვენეციის პორტში საკრუიზო გემი სასეირნო თბომავალს შეეჯახა

საკრუიზო ლაინერმა ვენეციის პორტში შესვლისას მართვა დაკარგა და ნავმისადგომსა და ტურისტულ თბომავალს შეეჯახა.

საკრუიზო ხომალდი ოპერა სან ბაზილიოსკენ მიემართებოდა.

დაშავებულია 4 ადამიანი, რომელთაგან 2 საავადმყოფოში გადაიყვანეს.

წინასწარი ინფორმაციით, საბუქსირე ბაგირი გაწყდა, რომლითაც საკრუიზო ხომალდები ქალაქის არხებში შეჰყავთ. გემმა სვლა ვერ შეაჩერა, რისი მიზეზიც ძლიერი დინება გახდა.

საკრუიზო გემი ოპერა 2.679 მგზავრს იტევს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

ამერიკელი საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინების შემდეგ ციხეში აღმოჩნდა

აშშ-ში განაჩენი გამოუტანეს ნებრასკის შტატის მცხოვრებს, რომელიც საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინდა.

2018 წლის შემოდგომაზე პოლიციაში შევიდა შეტყობინება სქესობრივი ურთიერთობის თაობაზე 40 წლის ტრევის ფილდგროუზსა და მის ქალიშვილს, 21 წლის სამანტა კერშნერს შორის. როგორც მამაკაცმა, ისე გოგონამ დაადასტურეს, რომ მათ ერთმანეთთან სქესობრივი კავშირი ჰქონდათ, ხოლო 1 ოქტომბერს ოფიციალურად იქორწინეს.

დედამ კერშნერი მის ბიოლოგიურ მამას სამი წლის წინ გააცნო. მანამდე ისინი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. ფილდგროუზის თქმით, ის მას თავის შვილად არ თვლიდა, ვინაიდან გოგონას დაბადების მოწმობაში მისი სახელი არ ფიგურირებდა.



კერშნერმა განაცხადა, რომ ინცესტის მიზეზი დასთან კამათი გახდა. ის ამტკიცებდა, რომ ფილდგროუზს პირველი ის მოხიბლავდა, მას კი ამის დაშვება არ შეეძლო და დას დაასწრო.

პოლიციის მიერ ჩატარებულმა დნმ-ის ანალიზმა დაადასტურა, რომ ფილდგროუზი კერშნერის მამაა. ისინი დააპატიმრეს და ინცესტი დასდეს ბრალად. მათ რვა წლამდე პატიმრობა ემუქრებოდათ, მაგრამ სასამართლომდე მიღებული შეთანხმების წყალობით სასჯელის შემსუბუქებას მიაღწიეს.

ფილდგროუზს ორი წლით პატიმრობა მიესაჯა. მას საპატიმროს დატოვება 144 დღის შემდეგ შეეძლება, რის შემდეგაც 12 თვის განმავლობაში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იცხოვრებს. ამ დროის განმავლობაში მას კერშნერთან შეხვედრა ეკრძალება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცოფიანმა ღამურამ პენსიონერი დაკბინა

ამერიკის ნიუ-ჰემპშირის შტატის მკვიდრი ცოფიანი ღამურის თავდასხმისგან დაზარალდა.

ინციდენტი გასულ კვირას მოხდა. როი სივერტსონი სასტუმრო ოთახში დივანზე ჩამოჯდა და iPad-ი აიღო, როდესაც მოულოდნელად მისი შალითიდან ღამურა გამოფრინდა და მამაკაცს უკბინა.

– ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოსდა ფუტკარმა დამნესტრა, – განაცხადა 86 წლის ამერიკელმა.

სივერტსონმა ცხოველის დაჭერა და სახლიდან გაყვანა მოახერხა. მეორე დილით პენსიონერი გარეთ გამოვიდა და იგივე ღამურა დაინახა, საღამოს კი შენიშნა, რომ ცხოველი მოკვდა. ღამურა სამედიცინო ექსპერტიზაზე გადააგზავნეს, რომელმაც დაადგინა, რომ ის ცოფით იყო დაავადებული. პენსიონერმა დახმარებისთვის საავადმყოფოს მიმართა. ბოლო ინფორმაციით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მადრიდში წითელი დროშა ფრიალებს — ლივერპული ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია

ლივერპული-ტოტენჰემი 2:0

მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო

1:0 სალაჰი (2პ), 2:0 ორიჯი (88)

ლივერპული: ალისონი, ალექსანდერ-არნოლდი, მატიპი, ვან დეიკი, რობერტსონი, ფაბინიო, ჰენდერსონი, ვეინალდუმი (მილნერი 62), მანე (გომესი 89), სალაჰი, ფირმინო (ორიჯი 58)

ტოტენჰემი: ლორისი, ტრიპიერი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, როუზი, სისოკო (დაიერი 74), უინკსი (მოურა 66), ერიკსენი, ალი (ლორენტე 82), სონი, კეინი

ლივერპულმა მეექვსედ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და ეს მადრიდში, ატლეტიკოს ახალ სტადიონ „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ გააკეთა. 14 წელი ელოდნენ ამ წარმატებას მერსისაიდელთა გულშემატკივრები და მიიღეს კიდეც. ლივერპულმა კი, დამაჯერებლად და დამსახურებულად მოიპოვა ევროპული ფეხბურთის უმთავრესი ჯილდო.

ცხადია, მატჩზე დიდი გავლენა იქონია უკვე 25-ე წამზე დანიშნულმა პენალტმა, რომელიც ზუსტად დაჰკრა მოჰამედ სალაჰმა და ლივერპული მე-2 წუთზე იგებდა. დაწინაურებული მერსისაიდელები კი იურგენ კლოპის საყვარელ სტილში ათამაშდნენ – პრაგმატულად, კონტრშეტევებზე გაკეთებული აქცენტით.

ტოტენჰემი ბურთთან უფრო ხშირად იყო, მაგრამ ხიფათის შექმნას ვერ ახერხებდა. პირველ ტაიმში მაურისიო პოჩეტინოს შეგირდებმა მეტოქის კარისკენ სულ ორჯერ დაარტყეს – ორივეჯერ საჯარიმოს გარედან და არაზუსტად.

შესვენების შემდეგ სიტუაცია გამოსწორდა. ტოტენჰემის ფეხბურთელებმა კარში დარტყმებსაც მოუმატეს და ალისონსაც თამაშში სულ უფრო ხშირად უწევდა ჩართვა. თუმცა, სერიოზული მომენტი ვერ შექმნეს და ლივერპულის მეკარესაც სასწაულები არ მოუხდენია.

მატჩის ბოლოსკენ ლივერპულმა მორიგი სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ კუთხური გამოიმუშავა, რომელიც დივოკ ორიჯის ზუსტი დარტყმით დასრულდა და ყველაფერი გაირკვა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვირჯილ ვან დეიკი

დიდებული სეზონი ჩაატარა ჰოლანდიელმა მცველმა. ბოლო აკორდი კი ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყო. ვან დეიკმა საერთოდ „გააქრო“ მოედნიდან ტოტენჰემის ლიდერი ჰარი კეინი. მისი თამაში გადამდები აღმოჩნდა სხვა მცველებისთვისაც. საერთოდ, ვან დეიკის მისვლის შემდეგ ლივერპულის დაცვა სოლიდური გახდა.

იურგენ კლოპი:

– გახარებული ვარ. ბიჭებმა ჩემთვის იბრძოლეს და გამარჯვება დაიმსახურეს. თქვენ გინახავთ, რომ გუნდი ჩვენსავით იბრძოდეს? კიდევ, ჩვენ მაგარი მეკარე გვყავს. ეს ჩვენი საუკეთესო საფეხბურთო ღამეა. ეს მოგება გუნდის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. კლუბის მფლობელები ჩვენზე ზეწოლას არასოდეს არ ახორციელებდნენ. როგორც წესი, მატჩის დასრულების შემდეგ 20 წუთში ნახევრად მთვრალი ვარ, ახლა კი მხოლოდ წყალი დავლიე.

მაურისიო პოჩეტინო:

– ჩემი ფეხბურთელებით ძალიან ამაყი ვარ. მაგრად ვიბრძოლეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. გოლი პენალტით გავუშვით. მატჩის 0:1-დან დაწყება რთულია. თამაშის გეგმა შევცვალეთ. ოპტიმისტებად უნდა დავრჩეთ. მორალურად გაგვიჭირდა. სწავლაა საჭირო, გამოცდილების მიღება. შარშან ლივერპული ჩვენს მდგომარეობაში იყო. აქ ძალიან მაღალი დონეა. დღეს ჩვენი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროა... კიდევ მინდა ფინალში ვითამაშოთ. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია. უნდა ვეცადოთ, გვჯეროდეს და იქნებ, ახლო მომავალში ისევ გავიდეთ ფინალში. კეინის მოედანზე გასვლა გადაწყვეტილება იყო. ჰარი, რომელსაც გარკვეული დრო ტრავმის გამო გაუცდა, ჩემი აზრით, მატჩის ბოლოსაც კარგად გამოიყურებოდა. მან ვერ გაიტანა, თუმცა ჩემი გადაწყვეტილება განპირობებული იყო ჩვენს ხელთ არსებული სრული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. მე არ ვნანობ მის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას.

ტორპედო ღრმა კრიზისშია

დილა-დინამო (თბ) 2:3

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 შენგელია (5), 1:1 კოუგბენია (18), 1:2 მეჯუბი (21), 1:3 შენგელია (39), 2:3 პაიმი (49)

დილა: გუგეშაშვილი, მირცხულავა, ჩადუნელი, გრიგალაშვილი, ნონდი, რაზმაძე (კერელეიშვილი 46), კოუგბენია, ფორტესი (ლემპტი 84), ნონიკაშვილი, გოშთელიანი (სპანდერაშვილი 69), პაიმი

დინამო: პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუბი, იაშვილი (კობოური 83), შულაია (კუხიანიძე 88), პაპავა, ივანისენია, შენგელია, ნინუა (ქარდავა 59), კუტალია

საინტერესო მატჩი შედგა გორში. ორივე გუნდს სურდა ქულები აღებდა და ეს უკეთ იმას გამოუვიდა, ვინც მეტი გაიტანა. არადა, დილამ ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა, 2 გოლიც გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა.

მატჩი მაღალ ტემპში წარიმართა. მასპინძლებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს, თუმცა მე-5 წუთზე სტუმრებმა კონტრშეტევა ძალიან სწრაფად გაათამაშეს და ანგარიშიც გაიხსნა – ლევან კუტალიას გადაცემით ლევან შენგელიამ ისარგებლა. აღსანიშნავია მეკარე ხოსე პერალესის უზუსტესი გადაცემა კუტალიაზე.

მე-18 წუთზე დილას ფეხბურთელებმა წონასწორობის აღდგენა მოახერხეს – გოლი დიდიე კოუგბენიამ გაიტანა. დინამოელებმა მეორე გოლის გატანა, ფაქტობრივად, მომდევნო შეტევაშივე მოახერხეს. ნიკა ნინუას კუთხურის შემდეგ სადებიუტო გოლით აბდელ მეჯუბი გამოირჩა.

დედაქალაქელებმა უმატეს შეტევებს და 39-ე წუთზე დმიტრო ივანისენიას იდეალური პასის შემდეგ შენგელიამ დუბლი შეასრულა და დინამო 2 გოლით დააწინაურა.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მე-2 ტაიმის დებიუტშივე გორელებმა ფელიპე პაიმის ზუსტი დარტყმით სხვაობა შეამცირეს.

დარჩენილ დროში მიუხედავად ორივე გუნდის მიერ შექმნილი მომენტებისა მეტი გოლი შეხვედრაში აღარ გასულა და დინამომ მიჯრით მესამე მატჩი მოიგო.

ვიტ ჯორჯია-ტორპედო 3:0

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 მოსიაშვილი (45), 2:0 ზარიძე (78), 3:0 მუსელიანი (82)

ვიტ ჯორჯია: ისერგიშვილი, გაფრინდაშვილი, ლაცაბიძე, ჩაკვეტაძე, საჯაია, სეხნიაშვილი, მოსიაშვილი (კურდღელაშვილი 87), ვასაძე, კაკაშვილი, მუსელიანი (ღირდალაძე 89), მუჯირი (ზარიძე 75)

ტორპედო: ქვილითაია, ხურცილავა (ტაბატაძე 71), აზაკი, კობახიძე, ცინცაძე (წიქარიძე 46), გიგაური, ნ.ქავთარაძე, ა.ჩაჩუა, დოლიძე (შარვაშიძე 74), ქიმაძე, ზივზივაზე

შესაძლოა, ეს იყო ქუთაისის ტორპედოს ბოლო მატჩი მიმდინარე სეზონში. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხმები ვრცელდება... ნამატჩევს რიონისპირელთა მთავარმა მწვრთნელმა კახაბერ ჩხეტიანმა დაიბარა, მიხედეთ ტორპედოსო. როგორც ჩანს, თავად გუნდი დატოვა.

ტორპედოს ფეხბურთელები ვიტ ჯორჯიასთან სათამაშოდ საკუთარი ავტომობილებით მივიდნენ და შედეგიც სახეზეა – ნახევრად „დაშლილ-დაჭერილმა“ ვეტერინარებმა 3:0 მოიგეს.

შედეგი ლოგიკურიც არის და სამართლიანიც – ტორპედომ ძალიან ცუდად ითამაშა, მეტოქის კარისკენ საერთოდ არ დაურტყამს. ვიტ ჯორჯიამ კი თავისი შანსი გამოიყენა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა.

საატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	16	11	1	4	29-16	34
2.საბურთალო	16	11	1	4	34-22	34
3.დინამო (თბ)	17	9	2	6	31-21	29
4.ტორპედო	17	8	3	6	28-26	27
5.ჩიხურა	16	5	7	4	21-15	22
6.ლოკომოტივი	16	7	0	9	22-22	21
7.სიონი	16	6	3	7	22-38	21
8.დილა	17	5	4	8	18-20	19
9.ვიტ ჯორჯია	17	4	2	11	10-22	14
10.რუსთავი	16	2	5	9	17-30	11

იუნაიტედმა თვალი დონარუმას დაადგა

მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი მეკარის დავიდ დე ხეას კლუბიდან შესაძლო წასვლაზე თითქმის ყველა სპორტული გამოცემა სულ უფრო აქტიურად და ხშირად წერს.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეძლება იმის თქმა, რომ ესპანელმა „წითლებს“ აქტიური სატრანსფერო სამუშაოს შესრულებისკენ მოუწოდა – დე ზეას ტიტულებისთვის მებრძოლი გუნდის ხილვა სურს და არა ოთხულზე მიმართული იუნაიტედი. აქამდე გავრცელებული ცნობებით, სწორედ ეს არის დე ხეას მოთხოვნა, ის მოთხოვნა რომლის გამოც შესაძლოა მან ინგლისი დატოვოს.

მანჩესტერელთა სპორტული დირექტორი ედ ვუდვორდი კი თავის დაზღვევას ცდილობს. იტალიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გლეიზერების კლუბმა მეკარისთვის სატრანსფერო თანხა გაამზადა. 60 მილიონი ევრო – ეს ის თანხაა რომელსაც ინგლისური გრანდი იუნაიტედი ახალი კარის დარაჯის შეძენისათვის დახარჯავს.

რაც შეეხება სამიზნეს: ოლე გუნარ სოლსკიაერის არჩევანი მილანის ახალგაზრდა მეკარე ჯანლუიჯი დონარუმაა.

ჯანლუიჯი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, მიუხედავად ასაკის სიმცირისა მან სერია ა-ს ეგიდით ჩატარებულ 142 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რაც, თავის მხრივ, მეკარის სანდოობაზე მიუთითებს.

იუნაიტედი ტოტენჰემის მცველის ტობი ალდერვეირელდის შეძენის შესახებ გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს. ამ შემთხვევაში კი, ხელმძღვანელობამ სოლსკიაერის რჩევა არ გაითვალისწინა.

ნორვეგიელს ძალიან უნდა, რომ დაცვის ხაზი გააძლიეროს. როგორც პრესა იუწყება, ოლე გუნარი ერიკ ბაიისა და ვიქტორ ლინდელოფის შენარჩუნებას აპირებს, ხოლო დამატებით მარჯვენა და ცენტრალური მცველის შეძენა სურს.

ოლე გუნარს ძალიან მოსწონს ალდერვეირელდი თავისი თამაშის სტილით, მაგრამ მიიჩნევს, რომ 30 წლის მცველი დიდ ხანს ვეღარ იქნება მოწოდების სიმაღლეზე და კლუბისთვის გრძელვადიანი ინვესტიცია არ არის.

თუმცა, თუ იუნაიტედი მცველის შეძენას გადაწყვეტს, ეს 2 კვირის განმავლობაში უნდა გააკეთოს, რადგან კონტრაქტის მიხედვით სწორედ ამ დროს შეუძლიათ ფეხბურთელის 25 მილიონ ფუნტად გამოსყიდვა.

იუნაიტედის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ალდერვეირელდის დონის მცველი ძალიან ცოტაა და ის კარგი დამატება იქნება „ოლდ ტრაფორდისთვის“.

კიდევ ერთი მცველი, რომელიც იუნაიტედს სურს, ფრანგული პსჟ-ს უკანახაზელი ტომას მუნიეა, რომელიც კლუბის გამოცვლასთან ძალიან ახლოს არის.

ფეხბურთელს საფრანგეთის დატოვება და „ნისლიან ალბიონზე“ გადასვლა აქვს გადაწყვეტილი. პარიზელებს კი მუნიეს სანაცვლოდ 25 მილიონი ევროს მიღება სურთ, რაც იუნაიტედისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. თავად ინგლისური გიგანტის ინტერესებში ტომას მუნიე დიდი ხანია იმყოფება.

თუმცა, გარდა იუნაიტედისა, ფრანგი მარჯვენა მცველი სხვა ტოპ კლუბების ინტერესთა სფეროშია მოქცეული.

ერთ-ერთი ასეთი კლუბი ლონდონის არსენალია, თუმცა პრესის მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, მუნიეს „ოლდ ტრაფორდზე“ სურს საფეხბურთო კარიერის გაგრძელება.

საფეხბურთო ექსპერტებისა და სხვა საფეხბურთო მიმომხილველების აზრთ, ჰოლანდიური პსვ-ს მექსკელი შემტეევი ირვინ ლოსანო ერთ-ერთ იმ ფეხბურთელთაგანია, რომელსაც კარიერული წინსვლა და მაღალ დონეზე ასპარეზობა შეუძლია.

ლოსანოს მომსახურებით არაერთი კლუბია დაინტერესებული, მათ შორის გამონაკლისი არც იუნაიტედია.

„წითელი ეშმაკების“ სკაუტები ლოსანოს მიერ ჩატარებული მატჩების დაკვირვებით ხშირად იყვნენ დაკავებულები. როგორც ჩანს ინგლისური გრანდის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციით, ლოსანოს მისი ამჟამინდელი კლუბის დატოვება აქვს გადაწყვეტილი, მოლაპარაკებები კი 2 გუნდთან მიმდინარეობს: დიდი ალბათობით ირვინი კარიერას იტალიურ ნაპოლიში ან იუნაიტედში გააგრძელებს.

ნეიმარს გაუჰაეროურებას აბრალებენ

ბრაზილიელ ფეხბურთელ ნეიმარს აშკარად ნეგატიური პერიოდი აქვს. ჯერ იყო და მეტოქე გუნდის გულშემატკივრებთან იჩხუბა, შემდეგ კაპიტნის სამკლავური ჩამორთვეს, მერე ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და გარკვეული პერიოდი გაუცდა, ბოლოს კი, შესაძლოა, სასამართლოს წინაშე წარდგეს.

სამხრეთამერიკული მედიის ცნობით, ერთ-ერთმა ქალმა, რომლის ვინაობა უცნობია, სან პაულუს პოლიციას მიმართა და ნეიმარი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. აღნიშნული შემთხვევა 15 მაისს პარიზში მოხდა.

ასე რომ, შესაძლოა, პსჟ-ს სუპერვარსკვლავი სამართალდამცველებმა დააკავონ, თუმცა ფეხბურთელის მამამ საპირისპირო შინაარსის კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, ნეიმარსა და ქალს შორის სექსუალური კავშირი ორმხრივი შეთანხმებით მოხდა. ნეიმარის მამის აზრით, გაუპატიურებაში დადანაშაულება ბოროტმოქმედთა მხრიდან შანტაჟის მცდელობაა.

როგორც ქალი აცხადებს, სამშობლოში 17 მაისს დაბრუნდა და გასულ პარასკევს პოლიციაში მისვლა გადაწყვიტა.

ამ ფაქტს ნეიმარმა სოციალური მედიის საშუალებით უპასუხა. როგორც ბრაზილიელი შემტევი აღნიშნავს, მის მიმართ ფულის გამოძალვის მიზნით ზეწოლა მიმდინარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნეიმარს მისი და მისი ოჯახის ცხოვრების გამოაშკარავებით ემუქრებიან.

ნეიმარი ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკისთვის ემზადება.

კაილი ჯენერი სახის დაბანის გამო გააკრიტიკეს

რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ ვარსკვლავმა და ბიზნესვუმენმა კაილი ჯენერმა ინსტაგრამში კანის მოვლის საკუთარი ბრენდის Kalie Skin-ს გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ის სახეს იბანს და ინტერნეტმომხმარებელთა კრიტიკა დაიმსახურა.

გოგონას ჰიგიენის დაუცველობა დასდეს ბრალად. მისი გვერდის ხელმომწერები აღაშფოთა იმან, რომ ჯენერი სახეს მხოლოდ ცხრა წამის განმავლობაში იბანდა, ხოლო პირსახოცზე, რომლითაც მან სახე გაიმშრალა, კოსმეტიკის კვალი ჩანდა.

– ისე ჩანს, თითქოსდა შენ თავადვე გეშინია საკუთარი პროდუქციის, იმდენად სწრაფად ჩამოირეცხე, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– ის უფრო მეტად იმაზე ფიქრობდა, რომ ამ ვიდეოში სიმპათიური გამოჩენილიყო და არა იმაზე, რომ თმები სწორად ჰქონოდა, სწორად დაებანა სახე და ეჩვენებინა ჩვენთვის, თუ როგორ კარგად მოქმედებს სინამდვილეში მისი პროდუქტი. ეს ვიდეო ამ პროდუქტს საერთოდ ვერ გაყიდის, სრული ჩავარდნა ელის, – საკუთარი მოსაზრება გამოთქვა მეორე ხელმომწერმა.

გამვლელმა მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირა

ჩინეთის სინცზიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში მამაკაცმა გადაარჩინა ბავშვი, რომელიც სახლის მეხუთე სართულიდან გადმოვარდა.

ორი წლის ბავშვი სახლში უმეთვალყურეოდ დარჩა და მეხუთე სართულის ფანჯარაზე ავიდა. თვითმხილველის თქმით, ქუჩაში მყოფმა ხანშიშესულმა ადამიანებმა ბავშვი შენიშნეს, მაგრამ ის მანამდე მოწყდა ფანჯრიდან, სანამ ისინი მის დახმარებას მოიფიქრებდნენ.

ბიჭი 28 წლის ტონიკ ტურგანბეკმა გადაარჩინა, რომელიც მანქანას პირდაპირ მისი ფანჯრის ქვეშ აყენებდა. ბავშვი მამაკაცს დაეცა და წააქცია.

– როდესაც ბავშვი შევნიშნე, ის უკვე ქვევით მოფრინავდა, – ამტკიცებს ტურგანბეკი, – ვერაფრის გაფიქრება ვერ მოვასწარი, რამდენიმე წამში კი დავიჭირე. არ ვიცი, რა მოხდა შემდეგ, ვინაიდან რაღაც დროის განმავლობაში გონება დავკარგე. როდესაც გონს მოვედი, გარშემო პოლიციელები და მაშველები იმყოფებოდნენ.

ბავშვი და მისი გადამრჩენელი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბიჭს რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღია, ხოლო ტურგანბეკს თავსა და ხელებზე მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებოდა.

დამნაშავე პოლიციისგან თავის დასაღწევად ხიდიდან გადახტა

ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში დამნაშავე ხიდიდან გადახტა, რათა პოლიციისთვის თავი დაეღწია.

პოლიციელები 42 წლის მამაკაცს მისდევდნენ, რომელიც ავტომობილზე გატაცების მიზნით შეიარაღებულ თავდასხმაში იყო ეჭვმიტანილი. მის გარდა გატაცებულ მანქანაში იმყოფებოდა ქალი. პოლიციის მონაცემებით, მას დანაშაულთან კავშირი არ აქვს.

დევნის დროს დამნაშავე დიდი სიჩქარით დაეჯახა პოლიციის მანქანას, გადაკვეთა ბრუკლინის ხიდი, 180 გრადუსით შემობრუნდა, პოლიციის მეორე მანქანას დაეჯახა და გაჩერდა. ამის შემდეგ ის მანქანიდან გადმოხტა, ხიდის კიდესთან მიირბინა და გადახტა.

ვარდნის შემდეგ მამაკაცმა ფეხზე წამოდგომა ვეღარ მოახერხა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

დეზოდორანტმა მოზარდი კომიდან გამოიყვანა

ინგლისის კამბრიის საგრაფოში მოზარდი კომიდან მას შემდეგ გამოვიდა, რაც დედამ მისი საყვარელი დეზოდორანტი მიუტანა.

მიმდინარე წლის თებერვალში 13 წლის კაკპერ კრაუზე მეგობრებთან ერთად მდინარეზე ნავით სეირნობდა, რა დროსაც ნავი გადაბრუნდა. მოზარდმა ცურვა არ იცოდა და ჩაძირვა დაიწყო. მან წყალქვეშ დაახლოებით 25 წუთი დაჰყო, სანამ მდინარიდან ამოიყვანდნენ და სასწრაფოს გამოუძახებდნენ. კრაუზე საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს. გზაში ექიმები მის რეანიმირებას ცდილობდნენ.

მართალია, მოზარდი გადარჩა, მაგრამ კომაში ჩავარდა. ექიმები და მშობლები მოზარდის გონზე მოყვანას დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში ცდილობდნენ. დედას მისი ხელი ხელში ეჭირა და ესაუბრებოდა, თუმცა – უშედეგოდ. ერთ დღეს მედდამ მას მოზარდის დაბანა შესთავაზა, რის შემდეგაც დედამ მისი საყვარელი დეზოდორანტი მიიტანა. როდესაც დედამ დეზოდორანტი შეასხურა, ბავშვმა თვალი გაახილა. ამჟამად მისი გამოჯანმრთელების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, მხოლოდ მეტყველებისა და მარჯვენა ხელის მოძრაობის პრობლემები დარჩა.

– როგორც კი დეზოდორანტი შევასხურე, მასინვე თვალები გაახილა. ალბათ კაკპერმა იგრძნო, რომ ეს მისი საყვარელი სურნელი იყო. ამ დროს, უბრალოდ, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – განაცხადა ბავშვის 43 წლის დედამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ქვილითაიას ნაკრებში ლობჯანიძე შეცვლის

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადება არასრული შემადგენლობით დაიწყო. რამდენიმე ფეხბურთელი საკლუბო მატჩების გამო ეროვნულ გუნდს მოგვიანებით შეუერთდება.

ვლადიმირ ვაისის გუნდი სასტუმრო „ჰუალინგში“ შეიკრიბა და საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე პირველი ვარჯიშები გამართა.

უკვე მეორედ, საქართველოს ნაკრების ვარჯიშზე ტრავმა მიიღო გიორგი ქვილითაიამ. როგორც ირკვევა. ბელგიური გენტის ფეხბურთელი ეროვნულ გუნდს გამოაკლდა და მომდევნო 2 მატჩში ვერ დაეხმარება. სავარაუდოდ, ნაკრებს ასევე ვერ დაეხმარება ჩეხური ზლინის ქართველი ლეგიონერი ვახტანგ ჭანტურიშვილი. ფეხბურთელი ჩეხეთში სამუშაო ვიზის მოლოდინშია. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, შემადგენლობაში ყაზახური თარაზის ქართველი ლეგიონერი ელგუჯა ლობჯანიძე იქნება.

ინდივიდუალურად ვარჯიშობს სოლომონ კვერკველია, თუმცა, საგანგაშო არაფერია.

როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი ნაკრები 7 და 10 ივნისს გიბრალტარისა და დანიის ნაკრებებს გაეჯიბრება. ვაისის გუნდი ჯერ ჯუჯა სახელმწიფოს უმასპინძლებს, ხოლო შემდეგ სკანდინავიას ეწვევა.

სადღეისოდ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელების სია ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (უგუნდო), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი) ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ლევან ხარაბაძე (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ვაკო გვილია (გურნიკი, პოლონეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ლოკომოტივი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი);

თავდამსხმელები: ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ელგუჯა ლობჯანიძე (თარაზი, ყაზახეთი).

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

სასწაულმოქმედი უებარი წამალი

თამარ ღლონტი

ქალბატონ **ეთერ კიკვილაშვილს** მთელი საქართველო იცნობს. მის უებარ წამალს ბევრი ადამიანი ჰყავს გადარჩენილი მძიმე სენისგან. მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ. დავლიე მძიმე დაავადებაზე და სიკვდილს გადავურჩი. მქონდა ლიმფომა და გადავწყვიტე ამ წამლის მიღება. ჩავიტარე სრული კურსი და გადავურჩი ოპერაციასა და ქიმიოთერაპიას. ქალბატონო ეთერ, იცოცხლეთ დიდხანს.

მკერდზე მქონდა პრობლემა. დავლიე ეს უებარი წამალი და განვიკურნე. კარგი შედეგები აქვს აგრეთვე ანთებებზეც.

ამ ქალბატონს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს.

ამ წამალმა საზღვრებს გარეთაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ის კარგად მოქმედებს პროსტატაზეც, ფილტვების დაავადებაზე, ბრონქების პრობლემებზე. თუ არაა მისი ავადმყოფი, ამ შემთხვევაში წამალს არ მისცემს ავადმყოფს.

მას აქვს აგრეთვე უებარი მალამო ბუასილის, დამწვრობის, ნაწოლებისა და ჭრილობებისთვის. მკურნალობს ნაღვლის ბუშტის პრობლემებზე, დისბაქტერიოზი-აშლილობით.

ტელეფონი: 269-17-37; მობ.: 599-96-44-63.

ასტროპროგნოზი 3 ივნისისთვის

ვერძი – რთული დღეა, რომელიც შეუსრულებელ მოვალეობებს უკავშირდება. თავი შეიკავეთ შორს გამგზავრებისაგან. აქტიური ფიზიკური დატვირთვა არ გამოგადგებათ. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. ემოციების გამოვლენა რაციონალურ აზროვნებაში ხელს შეგიშლით. ნუ ეცდებით, ყველა პრობლემის მოგვარებას ერთდროულად შეეჭიდოთ. **ტყუპები** – დღეს აუცილებლად დაამთავრეთ დაწყებული საქმეები. ნებისმიერი ქმედება თქვენგან დიდ ენერგიას მოითხოვს. **კირჩხიბი** – ოჯახური სიტუაცია სტაბილურია. ერიდეთ ხალხმრავლობას და დაისვენეთ შინაურების გარემოცვაში. **ლომი** – ნებისმიერ საქმეს პრაქტიკული კუთხით მიუდექით. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. იზრდება თქვენი ავტორიტეტი. **ქალწული** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ცილისმწამებლებსა და ავის მოსურნეებს სათოფეზე არ გაეკაროთ. ასევე თავი შეიკავეთ ქალაქგარეთ გასვლისაგან. **სასწორი** – სამსახურში წინსვლა გელით. თქვენი პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საკუთარი უნარების რეალიზაციას იოლად მოახერხებთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ემოციები შეიკავეთ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა გეძაბებათ. პირად ცხოვრებაში აქტიურობას ერიდეთ. **თხის რქა** – უკიდურესად რთული დღეა. არაკეთილისმსურველები შეეცდებიან, უსამართლოდ დაგადანაშაულონ და გული გატკინონ. ერიდეთ მარტო დარჩენას. **მერწყული** – დღის პირველ ნახევარში ოპტიმისტურად და ენერგიულად ხართ, რაც გარშემომყოფებზე დადებითად იმოქმედებს. ყურადღება მიაქციეთ როგორც საკუთარ, ისე ახლობლების ჯანმრთელობას. **თევზები** – იღბლიანი და წარმატებული დღეა. იაქტიურეთ. დღის მეორე ნახევარში მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი



1. სტადიონი ბრაზილიაში; 2. სევდის მომგვრელი მუსიკალური წყობა; 3. ... მკლავაძე (პერს.); 4. სოფელი წყალტუბოს ზონაში; 5. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი; 6. სანელებელი; 7. ესპერანტოს ვარიანტი; 8. „... დაიდარდო!“; 9. თევზსაჭერი მოწყობილობა; 10. იაპონელთა ეროვნული ტანსაცმელი; 11. ერთნახადი, სუსტი არაყი; 12. მექსიკური მცენარე; 13. წონის ერთეული; 14. შოტლანდიელ მამაკაცთა ქვედა სამოსელი; 15. დაცლილი ვაზნა; 16. ჯინა ლოლობრიჯიდას კინოროლი; 17. ... ჟორდანია; 18. ანჩხლი; 19. ... სუმაკი; 20. ერთგვარი თამაში სალტეებითა და ჯოხებით; 21. საბერძნეთი; 22. პატარა ლიახვის მარჯვენა შენაკადი; 23. რისამე საფუძველი; 24. დიდი ჩაქუჩი; 25. მსახიობი ... ჰეჩი; 26. ... ტურგენევი; 27. ელექტროდენის წინაღობის ერთეული; 28. მეფის მხლებელთა ჯგუფი; 29. ... ჭყონია; 30. ბინოკლი; 31. ე.წ. შავი ხე; 32. ციური მანათობელი სხეული; 33. მსახიობი და მომღერალი ... ნინიძე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აბსურდი; 2. კორიფე; 3. კონტრალტო; 4. ბოლერო; 5. ტაშკენტი; 7. გალო; 11. მერდინი; 13. ჩერჩილი; 15. დასტა; 16. თეთრა; 18. ნაღმი; 19. ლექსი.

თარაზულად: 6. ბელგია; 8. ბოსფორი; 9. ხალვაში; 10. რეფორმა; 12. დიუმა; 14. დომინო; 17. ტარანტული; 20. თრილერი; 21. ეტიუდი; 22. მიქსტი; 23. ყურაყუმი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩილე; 2. უელსი; 3. აპაში; 5. ფესახი; 6. სკვიმნია; 9. ბრანდვახტი; 10. ლუფტჰანზა; 11. კაპადოკია; 14. კია; 16. ეკლერი; 18. პერო.

თარაზულად: 1. ჩხოუში; 4. რეფლექსი; 7. გლორია; 8. შუშპარი; 12. კამიუ; 13. ოკრიბა; 15. სტატია; 17. ჩაი; 19. საკანდელიძე; 20. ხირსა; 21. როზეტი.

რუსები დემნა გვასალიას აუჯანყდნენ

ბალენსიაგას შემოქმედებით ხელმძღვანელ დემნა გვასალიას რუსები აუჯანყდნენ.

პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ქსენია სობჩაკმა თავის საავტორო გადაცემაში განაცხადა, რომ ერთერთმა ცნობილმა დიზაინერმა მას სთხოვა, ეთქვა ოლგა ბუზოვასთვის – ნუ აცვია ყველგან მათი ქურთუკი და ნუ წერს ამის შესახებ.

ოლგა ბუზოვა ამტკიცებს, რომ ეს დიზაინერი დემნა გვასალიაა:

– ქართველი კაცები ჩემთვის ყოველთვის ვაჟკაცობისა და ღირსების ასოციაციას იწვევდნენ. ღირსეულია თუ არა კაცის მხრიდან ასეთი საქციელი?! – იკითხა მომღერალმა.

ოლგა ბუზოვას მიერ ინტერნეტში გაკეთებულ ამ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რუსებმა კომენტარებში დემნა გვასალიასგან ბალენსიაგას შემოქმედებითი ხელმძღვანელის თანამდებობის დატოვება და ოლგა ბუზოვასთვის ფულის უკან დაბრუნება მოსთხოვეს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა დემნამ რუსები გააღიზიანა. ქართველი დიზაინერის მიერ გამოშვებულმა მაისურმა წარწერით „დი ნა ხ.ი“ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების აღშფოთება გამოიწვია.

ნიაზ დიასამიძემ ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ნიაზ დიასამიძემ ახალ სიმღერაზე ვიდეოკლიპი გადაიღო.

„ბუნება“ – ასე ჰქვია ჯგუფ „33ა“-ს სიმღერას, რომელზეც ვიდეორგოლი ნიაზ დიასამიძის ულამაზესი ხელნაწერებისა და საქართველოს ულამაზესი ბუნების ხედების თანხლებით დამზადდა.

ნიაზ დიასამიძემ ამ სიმღერით სრულიად საქართველოს ზაფხულის დადგომა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა.

ინტერნეტში გავრცელებულ სიმღერასა და მის კლიპს უამრავი ნახვა, მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს. მსმენელის უმრავლესობა ნიაზს ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს უწოდებს.

ატენის სიონი კვლავ ყურადღების ცენტრშია

ატენის სიონი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. კახა ხიმშიაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია ატენის სიონის ინფრასტურქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით:

– სოს! ატენის სიონი! შემთხვევით გადავაწყდი ატენის სიონის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერს. ჩავხედე პროექტს. ატენის სიონისათვის აპირებენ მანქანების სადგომის გაკეთებას და ტუალეტებისაც. ორივე საჭიროა და აუცილებელი. ორივესთვის ადგილი კარგადაა შერჩეული.

მაგრამ, მაგრამ! ავტოსადგომიდან ატენის სიონისაკენ შეკიდული ბილიკის მოწყობაა პროექტში გათვალისწინებული. ალბათ გახსოვთ ატენის სიონი და მისი შემოგარენი. ტაძარს ჩრდილოეთი მხრიდან კლდე ადგას, რომელიც განუყოფელი ნაწილია ისტორიული ლანდშაფტისა, გარდა ამისა, ამ კლდეზე შუა საუკუნეების, სავარაუდოდ, ბაგრატ მეოთხის მიერ გაჭრილი სარწყავი რუს ნაშთებიცაა. ჰოდა, სწორედ ამ კლდეზე უნდა შეკიდონ ბილიკი და ტაძარს მიაყენონ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხიდან.

ცვლის ეს ყველაფერი ისტორიულ ლანდშაფტს, გარემოს. არ შეიძლება ასეთი რაღაცების კეთება. მარტივად, ახლა არსებული მონასტრის შესასვლელიდან რომ იარონ ტურისტებმა, გაცილებით აჯობებს.

პეტრე კოლხი პრეზიდენტს მხარდაჭერას უცხადებს

პოეტი და სასულიერო პირი პეტრე კოლხი საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მხარდაჭერას უცხადებს და მის მიერ წმინდა ნინოს გზის გავლას დადებითად აფასებს:

– ქალბატონო პრეზიდენტო, თქვენი ფოტო რომ ვნახე, ზვიადის ლექსი გამახსენდა – „წინ მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“.

მოღლიცინეებს, ცოტა ძაან გოიმებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, საოცრად მომეწონა თქვენი ეს ნაბიჯი... ვისურვებდი, ყველა პრეზიდენტმა სამომავლოდ იგივე ნაბიჯი გადადგას და არა მარტო ნინოს გზით, ასურელი მამების, ანდრია პირველწოდებულის გზითაც იაროს...

მომწონს, რომ ქალი პრეზიდენტი გვყავს, მომწონს მისი უშუალობა და კიდევ უფრო მომწონს, ამდენ დაუმსახურებელ განკითხვას და შეურაცხყოფას ღირსეულად რომ უძლებს...

ზოგიერთს თავი ძალიან ევროპელი და გამოსული ჰგონია, სინამდვილეში ორლობეს ვერ გასცდნენ...

შეიძლება, ადამიანის დამოკიდებულება და მიდგომა არ მოგწონდეს, მაგრამ უწმაწური სიტყვების კორიანტელით ყველა თავს ილანძღავს...

ფსევდოლიბერალები ვითომ ყველას უფლებას იცავენ, სინამდვილეში თავად უწყობენ ხელს ნებისმიერ ძალადობას!..

ქალბატონო პრეზიდენტო, როცა ვიღაც არ მომწონს, მასზე საერთოდ არც ვსაუბრობ და არც ვფიქრობ. ეჭვი მაქვს, რომ უფრო მეტს მოსწონხართ, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ, მაგრამ გამოხატვის ფორმები აქვთ უტაქტო. აპატიეთ, ასე მიეჩვივნენ, აღზრდის ბრალია.

თქვენ კი მალე ილორის მოლოცვას გისურვებთ!

სამგლოვიარო განცხადებები

90 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, ღირსების, შრომის, წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერი

ადილარ გაბრიელის ძე ჩართოლანი

დაკრძალვა: 6 ივნისს, 15 საათზე, დაბა მესტიაში.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ვანდალიზმი წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიაზე

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხში წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიაზე განხორციელებულ უნებართვო მშენებლობას ვანდალიზმად აფასებს.

სოფლის ადგილობრივი მცხოვრებლებისა და სამშენებლო პროცესის ინიციატორის, მოქალაქე იურიკ წარუკიანის თვითნებური გადაწყვეტილების შედეგად XIX საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესიის იერსახე მკვეთრად დეგრადირდა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კედლები ძალაყინითაა ჩამოშლილი, ხოლო ტაძრის ერთ-ერთი ფასადი – თითქმის სრულად განადგურებული.

უნებართვო სამუშაოები, რომელიც მაისიდან დაიწყო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ 10 მაისს გამოვლინდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საწყის ეტაპზე ძეგლის გარშემო საძირკვლის დონეზე უნებართვოდ ამოღებული მიწის ფენა დაფიქსირდა, რაც ძეგლს დაზიანების საფრთხეს თავიდანვე უქმნიდა.

უნებართვოდ განხორციელებული ქმედების გამოსწორებისა და განხორციელებული სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით მოქალაქე იურიკ წარუკიანს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე სააგენტომ წერილობითი გაფრთხილება მისცა, რომლის საფუძველზეც მას რამდენიმე ვალდებულება განესაზღვრა: მოქალაქეს უნდა უზრუნველეყო ძეგლზე ყველა ტიპის სამუშაოების სასწრაფოდ შეჩერება, გარდა საძირკვლის სამუშაოებისა. სპეციალისტების ზედამხედველობით, ეკლესიის საძირკველი ამოთხრილ ნაწილში უნდა გამაგრებულიყო რკინაბეტონის გამოყენებით, ვიდეოგადაღებით აღბეჭდილი სამუშაოების პროცესი კი უნდა წარმოდგენილიყო სამუშაოების ანგარიშთან ერთად. ერთი თვის ვადაში მესაკუთრეს უნდა უზრუნველეყო დანარჩენ სამუშაოებზე, საძირკვლის სამუშაოს გარდა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოპოვება, მიღებული ნებართვის საფუძველზე კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა.

წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, დაკისრებული ვალდებულებები სამშენებლო პროცესის ინიციატორ იურიკ წარუკიანის მიერ სრულად უგულებელყოფილი აღმოჩნდა. კანონით განსაზღვრული ქმედებების შეუსრულებლობის გამო „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფიზიკური პირი 21 მაისს სააგენტომ 5000 ლარის ოდენობის ადმინისტრაციული სახდელით დააჯარიმა, რომლის კანონიერება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პირველადი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაედგინა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არაოფიციალური ინფორმაციით, უნებართვო სამუშაოების ორგანიზებისთვის იურიკ წარუკიანის გაფრთხილებისა და 5.000 ლარით დაჯარიმების მიუხედავად, კორხის წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიაზე უნებართვო სამუშაოები მაინც გრძელდება, რამაც, მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლოა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის აუცილებლობა წარმოშვას.

დავითგარეჯში უდაბნოს ტაძრიდან კელიებისკენ მიმავალი ბილიკი დაკეტილია

დავითგარეჯიდან, სადაც პირველ ივნისს ათასობით ქართველი ჩავიდა, უახლესი ინფორმაცია დავით ქაცარავამ გაავრცელა:

– 1 ივნისს გარეჯში ჩასული იყო არანაკლებ 5000 ადამიანი.

მიუხედავად ამისა, უდაბნოს ტაძრიდან კელიებისკენ მიმავალი ბილიკი მაინც დაკეტილი იყო.

მიზეზი კვლავ უცნობია.

შეგრძნება იმისა, რომ ნელ-ნელა ვკარგავთ გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, ძლიერდება. ჩვენი ხელისუფლება კი დუმს...

„მასტერშეფის“ საუკეთესო ათეული ცნობილია

საქართველოს პირველი არხის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შოუს, „მასტერშეფის“ მონაწილეებისგან შემდგარი ათეულის ვინაობა ცნობილია. ჟიურის გადაწყვეტილებით, „მასტერშეფის“ გამარჯვებულის ტიტულისთვის იბრძოლებენ: გიორგი ჯაჭვლიანი, ნინო ბარათაშვილი, მაკა კვიციანი, ვლადიმერ სოკოლოვი, თათია თექთურმანიძე, სოფო ხალვაში, გიორგი მანჯავიძე, თინა ვაშაკიძე, ია ძაგანია და ნათია ჯიქიძე.

ჟიურიმ ისინი წინსაფრის 28 მფლობელი კონკურსანტიდან შეარჩია. ათეულში მოსახვედრად იბრძოდნენ მსახიობები, მოდელები, მომღერლები, დიზაინერები, რიგითი ადამიანები, ვისაც სამზარეულოში ფუსფუსი ძალიან უყვარს.

„მასტერშეფი“ – მსოფლიოში პოპულარული, რეიტინგული, ერთ-ერთი საუკეთესო გასართობი და შემოქმედებითი შოუ ქართულ ტელესივრცეში 18 მაისიდან საქართველოს პირველი არხის ეთერშია.

„მასტერშეფი“ ყველაზე ცეცხლოვანი, დინამიკური კულინარიული გადაცემაა და აშშ-ში პოპულარული პროგრამების რეიტინგებში ყოველთვის საპატიო ადგილს იკავებს. მაყურებელი ამ შოუს არც ერთ სეზონს არ ღალატობს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მზარეულები „მასტერშეფის“ ტიტულისთვის არა მხოლოდ იმ პრიზის გამო იბრძვიან, რაც ფინალურ ტურში ელით, არამედ სახელისა და დიდებისთვისაც, რასაც გამარჯვება მოუტანთ. ავსტრალიასა და აშშ-ში არსებობს მაგალითები, როცა გამარჯვებულებმა ბრწყინვალე კარიერა აიწყვეს და საკუთარი რესტორნებიც გახსნეს, რომელიც სტუმრების ნაკლებობას არასდროს განიცდის.

„მასტერშეფი“ უმაღლეს სტანდარტს ითხოვს, რომელიც მოყვარულმა მზარეულმაც კი უნდა დააკმაყოფილოს, შესაბამისად, კონკურსის მიმდინარეობისას მონაწილე დღითიდღე ვითარდება, ახალ უნარებს იძენს და საკუთარ თავში კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს აღმოაჩენს. „მასტერშეფი“ კი სწორედ ის გახდება, ვინც ყველა დაბრკოლებას გადალახავს, გაუძლებს ყველაზე კომპეტენტური ჟიურის კრიტიკას, მოამზადებს ვიზუალურად მიმზიდველ, გემრიელ კერძებს და, საბოლოო ჯამში, აღიარებენ, როგორც პროფესიონალ მზარეულს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ზვიგენმა მამაკაცი მისი მეუღლის თვალწინ დაგლიჯა

ამერიკელმა ქალბატონმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ დაგლიჯა ზვიგენმა მისი მეუღლე მის თვალწინ. ქალი უყურებდა, როგორ იღუპებოდა მამაკაცი და არც კი იცოდა, რომ ის მისი ქმარი იყო.

კალიფორნიის შტატის მცხოვრები 65 წლის ტომას სმაილი კუნძულ მაუის სანაპიროსთან ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაიღუპა. მტაცებელი მამაკაცს ნაპირიდან დაახლოებით 50 მეტრში დაესხა თავს. მის დასახმარებლად მაშველები წყალში ჰიდროციკლით შეცვივდნენ, ნაპირზე გამოიყვანეს და შეეცადნენ, მისთვის გულისა და ფილტვების რეანიმირება გაეკეთებინათ. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ის ადგილზევე დაიღუპა.

მისმა მეუღლემ გეილმა აღიარა, რომ მტაცებლის თავდასხმის მომენტი დაინახა. მისი ყურადღება იმან მიიქცია, რომ წყალში ვიღაც ფართხალებდა, თუმცა თავდაპირველად ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

– ის შესანიშნავად ცურავდა, თავის დროზე სკოლის ცურვის გუნდის წევრი იყო, გატაცებული იყო სნორკლინგით, სრიალებდა წყლის თხილამურებით, ვიფიქრე, რომ ის ჩემი ქმარი არ იქნებოდა, – განაცხადა ქალმა.

გეილი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ის მამაკაცი მისი მეუღლე იყო, როდესაც მაშველებმა წყლიდან ამოიყვანეს. მან ნაცნობი საცურაო კოსტიუმი შენიშნა და აკივლდა.

ქალის მტკიცებით, პლაჟზე არ იყო არც ერთი გამაფრთხილებელი წარწერა, რომ ზვიგენის თავდასხმა იყო შესაძლებელი. ტომასის დაღუპვის შემდეგ ხელისუფლებამ ისინი ყველა პლაჟზე დააყენა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7870

ევრო — 3.1078

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5066

100 რუსული რუბლი — 4.2553

ამინდის პროგნოზი 3 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

21 მაისიდან

ძმები გრიმები

ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ანეკდოტი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, კატა აგიყვანია და როგორ იქცევა?

– იმ დასკვნამდე მივედი, რომ მექცევა, როგორც ღმერთს.

– ეგ როგორ?

– მანამდე მიკეთებს იგნორირებას, სანამ ჩემგან რამე არ დასჭირდება.

●●●

ლექტორი სტუდენტებს ეუბნება:

– თუ მე თქვენ ჩათვლას დაგიწერთ, ბოლოს და ბოლოს, დიპლომებს მიიღებთ და ინჟინრები გახდებით, ხოლო თუ არ დაგიწერთ, მაშინ ჯარში აღმოჩნდებით და ჩვენი დაცვა დაგევალებათ. ჰოდა, ახლა ვფიქრობ, რომელი უფრო უარესია...

●●●

მოხუცმა ქალმა ავტობუსში პოემა „განდეგილიდან“ მთელი თავი ზეპირად წაიკითხა. აღფრთოვანებულმა მგზავრებმა ტაშით დააჯილდოვეს. მან კი ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა:

– აი, ეს მახსოვს, ხოლო რა ჯანდაბად ამოვედი ამ ავტობუსში, ვერ ვიხსენებ.

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი ყოფილი როგორ გაიცანი?

– უბრალოდ. ქუჩაში მასთან მივედი და ვუთხარი, რომ ჩემთვის შანსი მოეცა. მანაც მომცა.

– და რატომღა გაშორდი?

– აღმოჩნდა, რომ ჩემი შანსი ასიდან ერთი იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მშიერმა სპილომ პატარა გოგონა მოკლა

ინდოეთის სოფელ ნავამალაიში სპილო თავს დაესხა პატარა გოგონას და მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რამდენიმე დღის წინ საღამოს საათებში სპილო საცხოვრებელ სახლში საკვების მოსაპოვებლად შევიდა იმ დროს, როდესაც მისი პატრონები მაღაზიაში იყვნენ წასული. მალე ჩიტრა, მისი შვიდი წლის გოგონა მ რაჯანი და მათი რამდენიმე მეზობელი სახლში დაბრუნდნენ, გზას კი მაშხალებით ინათებდნენ. ქალი ბავშვთან ერთად სახლში შევიდა ისე, რომ ხმაური არ გაუგონია.

სპილომ სახლის ნაწილის დანგრევა და ბრინჯის ტომრების დაცარიელება მოასწრო. ანთებული მაშხალის სინათლემ ცხოველი გააცოფა და ის დედა-შვილს თავს დაესხა. ქალმა გაქცევა მოასწრო, სპილომ კი ხორთუმით ბავშვი აიტაცა და მიწაზე დაანარცხა. დედამ მეზობლების დახმარებით გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ნიგერიაში „გველი“ სახელმწიფო ფულის ჭამაში ამხილეს

ნიგერიის ბენუეს შტატის განათლების სამინისტროს თანამშრომელი ქალი, რომელიც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ფული გველმა გადაყლაპა, თაღლითობაში დაადანაშაულეს.

2018 წლის დასაწყისში ქალაქ მაკურდში აუდიტორებმა ნიგერიის საგამოცდო საბჭოს განყოფილება შეამოწმეს და 36 მილიონი ნაირის დაკარგვა დააფიქსირეს, რომლებიც გამოცდების მონაწილეთა რეგისტრაციისთვის კოდირებული სკეტჩ-ბარათების გაყიდვიდან იყო შემოსული. ორგანიზაციის თანამშრომელმა ფილომინა ჩიშემ ფულის გაქრობა ზებუნებრივი მოვლენით ახსნა.

მან განაცხადა, რომ საგამოცდო საბჭოში შემოსულ თანხას ის ყოველთვის ოფისის საცავში ინახავდა, თუმცა ფული ყოველ ჯერზე ქრებოდა.

– ვერ ვხვდებოდი, სად იკარგებოდა მილიონობით ნაირა, – ამტკიცებდა ქალი, – ყველას ვეკითხებოდი ოფისშიც და სახლშიც, მაგრამ ვერავინ ხსნიდა, სად შეიძლებოდა გამქრალიყო ფული. მე ძიებას ვაგრძელებდი, სანამ ჩემმა დამლაგებელმა არ აღიარა, რომ ფული „სულიერად“ ქრება. მისი თქმით, სახლში შემოაღწია „იდუმალმა გველმა“ და საცავში შენახულ ფულებს ყლაპავდა.

გამომძიებლები ამტკიცებდნენ, რომ დანაშაულის ადგილი საგულდაგულოდ დაათვალიერეს, მაგრამ ვერ ნახეს ვერც გველი და ვერც რაიმე იმის ნიშანი, რომ ქვეწარმავალი მართლაც სადმე ახლომახლო იმალებოდა. გასული წლის მარტში ქალი დააპატიმრეს, ხოლო აგვისტოში ჩიშემ ფულის გაქრობის უფრო ნაკლებად ფანტასტიკური განმარტება წარმოადგინა. როგორც გაირკვა, ის საგამოცდო საბჭოს ადგილობრივი კოორდინატორის დავალებით თანხებს ხსნიდა საბანკო ანგარიშებიდან. ზოგჯერ თანხები ორგანიზაციის საჭიროებებზე იხარჯებოდა, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ითვისებდა.

31 მაისს ჩიშე და განათლების სამინისტროს კიდევ ხუთი თანამშრომელი ქალაქ აბუჯის სასამართლოს წინაშე წარდგნენ. სამმა მათგანმა დანაშაული უკვე აღიარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლეოპარდმა ანტილოპა წვალებით მოკლა



სამხრეთ აფრიკის საბი-სენდის პარკში ტურისტები ლეოპარდის ნაცრისფერ ანტილოპაზე ნადირობის თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბში კრიუგერის ეროვნული პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორი ამტკიცებს, რომ ცხოველის სასოწარკვეთილი ხმები იმ დროს გაიგონა, როდესაც მდინარის მახლობლად სპილოების სანახავად გაჩერდა. უცნაური ხმების წყარო ანტილოპას ნუკრი აღმოჩნდა, რომელიც ახალგაზრდა ლეოპარდს ჰყავდა დაჭერილი. მტაცებელმა ის მაშინვე არ მოკლა, არამედ, როგორც კატა თაგვს, ისე ეთამაშებოდა. ის პატარა ანტილოპას უშვებდა და, როდესაც ის გაქცევას ცდილობდა, ისევ იჭერდა და თათის დარტყმით მიწაზე აგდებდა.

ასეთი სანახაობა დაახლოებით 45 წუთს გრძელდებოდა. ტურისტები და გიდი ფიქრობდნენ, რომ ასეთი ხერხით ლეოპარდი პატარა ანტილოპის დედის მიტყუებას ცდილობდა. ნუკრის ხმაზე მოზრდილმა ანტილოპამ მართლაც მოირბინა, თუმცა 50 მეტრზე ახლოს მისვლა არ უცდია. საბოლოოდ ლეოპარდმა პატარა ანტილოპა მოკლა და შეჭამა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. დიპლომატიური კურიერის დაბეჭდილი საფოსტო ტომარა; 7. კოვბოური ფილმი; 8. პატარა ზომის კენგურუ; 10. მონეტის ფასის განსაზღვრა მისი წონის მიხედვით; 11. სახელმწიფო ევროპაში; 13. ივლისის ქართული ხალხური სახელწოდება; 16. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 19. მექსიკური ცეკვა; 20. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

შვეულად: 1. ფლობერის რომანი; 2. ქრისტიანული დღესასწაული; 3. მეგრული კერძი; 4. ხის ქერქქვეშა მაგარი ნაწილი; 5. ინტელექტუალური თამაში სიტყვების გამოცნობაზე; 9. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 12. დიდი შენობის არქიტექტურულად გაფორმებული მთავარი შესასვლელი; 14. ქოჩრიანი თუთიყუში; 15. ნიკოლომოურის მშობლიური სოფელი; 17. კარიდამო ლათინურ ამერიკაში; 18. მიწის ფართის საზომი ინგლისური ერთეული.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბუი ფუ დი ჰუანბ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/